საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო
უნივერსიტეტი

ბიზნეს-ადმინისტრირებისა და ფინანსების ფაკულტეტი

მარიეტა იაკობაძე

უმაღლესი განათლების დაფინანსების უცხოური გამოცდილება და საქართველოს პრაქტიკა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია

ბიზნესის ადმინისტრირება-ფინანსების მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ლაშა ბერიძე

ხიჭაური

2019

ანოტაცია

ნაშრომი ეხება უმაღლესი განათლების დაფინანსებას საქართველოში, კერძოდ, კი უმაღლესი განათლების დაფინანასების უცხოურ გამოცდილებას და საქართელოს პრაქტიკას. საკითხი მნიშვნელოვანია, რადგან უმაღლეს განათლებას წვლილი შეაქვს ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში. აღსანიშნავია, რომ საქართველოში განათლებისა და მეცნიერების სფეროს დაფინანსება მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობას, ისე ევროკავშირის ახალი წევრი ქვეყნების შესაბამის მაჩვენებელს.

სხვადასხვა ქვეყანაში უმაღლეს განათლებაზე გამოყოფილი სახლმწიფო დაფინანსების და შემდეგ გადანაწილების სხვადასხვა მოდელები მოქმედებს. სახელმწიფოები სხვადასხვა პრინციპით ხელმძღვანელობენ, როცა წყვეტენ თუ როგორ გაანაწილონ უმაღლეს განათლებაზე გამოყოფილი თანხები და რა ფორმით გადასცენ ეს თანხები მათ. ჩვენ მიგვაჩნია, რომ საქართველოსთვის სასურველი მოდელი წარმატებული ევროპული საგანმანათლებლო სისტემის გამოცდილებას უნდა ეფუძნებოდეს, პირველ რიგში საქართველო კულტურული თავისებურებებით უფრო ახლოა ევროპულ ქვეყნებთან. საქართველოს საგანმანათლებლო სისტემას ისტორიულად ბევრი აქვს საერთო განსაკუთრებით კომუნისტური წარსულის მქონე სისტემებთან; საქართველოს უმაღლეს განათლებაში ჩართულობის მაჩვენებლები მეტნაკლებად ახლოსაა ევროპული ქვეყნების მაჩვენებლებთან. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ უმჯობესია შედარებით მცირე ზომის ქვეყნების მაგალითის გათვალისწინება. ვფიქრობ, რომ განსაკუთრებით ყურადსაღებია ესტონეთის მაგალითი, რადგან იგი მცირე ზომის პოსტ-საბჭოთა ქვეყანაა, რომელმაც მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია უმაღლესი განათლებისა განვითარების სფეროში.

დაფინანსების რამდენიმე მექანიზმს შორის ამჟამად ყველაზე გავცელებული არის თანხების გადანაწილება დაფინანსების ფორმულის საფუძველზე. დაფინანსების

ამ ფორმას იყენებს ევროპის თითქმის ყველა ქვეყაანა, მაგრამ საქართველოში მისი გამოყენება არ ხერხდება.

Annotacion

The work deals with the financing of higher education in Georgia, in particular the foreign experience of financing higher education and the practice of Georgia. The issue is important because higher education contributes to the social and economic development of the country. It is noteworthy that funding for education and science in Georgia is significantly lower than the Commonwealth of Independent States and the relevant EU Member States.

Various models of state financing and subsequent redistribution allocated to higher education in different countries. The states are guided by different principles when deciding how to distribute the funds allocated to higher education and in what form these funds are given. We believe that the preferred model of Georgia should be based on the experience of a successful European educational system, first of all Georgia is closer to cultural peculiarities with European countries; The educational system of Georgia has historically much in common with the systems of communist past. Indicators of higher education in Georgia are more or less closely related to the indicators of European countries. It should be noted that it is better to take into consideration the example of relatively small countries. I think it is particularly important in the example of Estonia because it is a small-scale post-Soviet country that has achieved significant success in the field of higher education.

სარჩევი

შესავალი

თავი I. უმაღლესი განათლების დაფინანსების უცხოური გამოცდილება და ეკონომიკური შედეგები;

1.1 ქვეყნის განვითარებაში განათლების როლი;

1.2 უმაღლესი განათლების დაფინანსების მოდელები;

1.3 უმაღლესი განათლების დაფინანსების მნიშვნელობა ეკონომიკურ მიღწევებთან მიმართებაში;

თავი II . უმაღლესი განათლების დაფინანასება საქართველოში.

2.1უმაღლესი განათლების დაფინანსება და რეგულირება;

2.2 დაფინანსების მოცულობა და დინამიკა;

თავი III საქართველოსი უმაღლესი განათლების დაფინანსების პრობლემები და პერსპექტივები.

3.1 ფინანსური ავტონომიის შედარებითი ანალიზი და არსებული პრობლემები;

3.2 დაფინანსების ოდენობის განსაზღვრა და მისაღები შედეგები

დასკვნა

ბიბლიოგრაფია

შესავალი

საქართველოში არსებული უმაღლესი განათლების დაფინანსების სისტემა განსხვავდება ევროპის ქვეყნების დაფინანსების სისტემისაგან, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ცდილობს დანერგოს დაფინანსების ისეთი მოდელი, რომელიც მისაღები და ეფექტური იქნება ჩვენი ქვეყნისათვის, ამისათვის აწამოებს უცხო ქვეყნებზე დაკვირვებას , რათა მაგალითი აიღოს და ქვეყანაში დანერგოს ისეთი განათლების სისტემა, რომელიც იქნება შედეგებზე ორიენტირებული. იგი მაგალითს ისეთი ქვეყნებისაგან, რომლებიც გავს ჩვენს ქვეყანას ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და პოლიტიკური თვალსაზრისით.

დღეს განათლება დანახული უნდა იქნას განვითარების უფრო ფართო კონტექსტში. განათლების სისტემები უნდა შეესაბამებოდნენ და პასუხობდნენ სწრაფად ცვალებად დასაქმების ბაზარს, ტექნოლოგიურ წინსვლას, გარემოს დეგრადაციას, პოლიტიკურ არასტაბილურობას, სტიქიურ საფრთხეებსა და კატასტროფებს, კონკურენციას ბუნებრივი რესურსებისთვის, უმუშევრობას გლობალური მასშტაბით, მუდმივ სიღატაკეს, გაზრდილ უთანასწორობასა და მომატებულ საფრთხეებს, რომელიც ემუქრება მშვიდობასა და უსაფრთხოებას.

საქართველოში განათლების დაფინანსება უცხოური ქვეყნების მაგალითზე მისაღებია რადგან ჩვენ არ გვაქვს შესაძლებლობა და უნარი შევქმნათ განათლების დაფინანსების ინდივიდუალური მოდელი, რომელიც მისაღები იქნება ჩვენი ქვეყნის საზოგადოებისთვის.

საქართველოში, ამჯამად არსებული უმაღლესი განათლების და კვლევის დაფინანსების პრინციპები და პრაქტიკა არ შეესაბამება განათლების ერონულ მიზნებსა და ქვეყნის განვითარების გრძელვადიან სტრატეგიას, კერძოდ უმაღლესი განათლების დაფინანსების მექანიზმი არასტაბილურ გარემოს ქმნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის და არასახარბიელო მდგომარეობაში აყენებს უმაღლეს სასწავლებლებს კერძო სასწავლებლებთან შედარებით. განათლების სფეროში

გამოყოფილი დაფინანსება არ არის საკმარისი უზრუნველყოს გრძელვადიანი ხარისხიანი განათლება და კონკურენტუნარიანი პროდუქტის შექმნა.

ამრიგად, უმაღლესი განათლებისა და კვლევის არსებული მოდელი შესაძლებელია აფერხებდეს, როგორც ხარისხის განთვითარებას ასევე ხელს უშლიდეს თანაბარ ხელმისაწვდომობასა სწავლაზე.

თავი I უმაღლესი განათლების დაფინანსების უცხოური გამოცდილება და ეკონომიკური შედეგები

1.1 ქვეყნის განვითარებაში განათლების როლი

უმაღლესი განათლების მთავარი ფუნქციაა განათლების გავრცელება, განათლების დონის აწევა საზოგადოებაში, საზოგადოებისათვის და ქვეყნის ეკონომიკისათვის, სპეციალისტებისა და მეცნიერების მომზადება. ამიტომაცაა, რომ ცოდნის გავრცელების მხრივ მისი წვლილი ქვეყნის ეკონომიკურ სიძლიერეში, და კეთილდღეობაში ძალიან მნიშვნელოვანია. განსაკუთრებით გამოიკვეთა მისი როლი გლობალური მსოფლიო კრიზისის დროს, როდესაც მთავრობები მთელს მსოფლიოში უნივერსიტეტებში ხედავდნენ მნიშვნელოვან საშუალებას ნაციონალური და რეგიონალური ეკონომიკის გასაძლიერებლად, კვლევების საფუძველზე ახალი იდეების, პროდუქტებისა და სერვისების შექმნის და მოქალაქეების განათლების დონის გაზრდით ეროვნული დოვლათის გაზრდაში.

უმაღლესს განათლებას წვლილი შეაქვს ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში უპირველესად მისი ოთხი ძირითადი მისიის მეშვეობით:

- ✓ **ადამიანური კაპიტალის ფორმირება;**
- ✓ **ცოდნის შექმნა;**
- ✓ **ცოდნის გავრცელება და გამოყენება;**
- ✓ **ცოდნა/განათლების მხარდაჭერა;**

უმაღლესი განათლება ხელს უწყობს ეკონომიკური ინფრასტრუქტურის განვითარებას. იგი სტიმულს აძლევს არა მხოლოდ დოვლათის შექმნას ქვეყანაში, არამედ ხელს უწყობს მთლიანი შიდა პროდუქტის ტემპის ზრდას გარდა იმისა, რომ უმაღლესი განათლება არის ეკონომიკური სიძლიერის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი, უმაღლესი სასწავლებლების მიერ კონკრეტული განათლების დარგში სპეციალისტების მომზადების დონე მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ქვეყანაში სფეროს განვითარების დონეს. უმაღლესი განათლების სექტორი ზრდის განათლების

დონეს, ხელს უწყობს ახალი კვალიფიციური მუშახელის შექმნას და დასაქმებას, ამავე დროს იგი თავად არის ქვეყანაში მნიშვნელოვანი დამსაქმებელი სუბიექტი.[1] მნიშვნელოვანია საერთაშორისო სტუდენტების წვლილი ეკონომიკის განვითარებაში, უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში სასწავლო ჯგუფები ხდება უფრო და უფრო ინტერნაციონალიზებური, ბოლო წლების განმავლობაში საზოგადოება მრავალი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა, უნივერსიტეტები ეკონომიკური საზოგადოების წევრები არიან და მათზეც მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს სხვადასხვა გარემოს ფაქტორი: გლობალიზაცია და ინტერნაციონალიზაცია, ფინანსური კრიზისები, ინოვაციები, წარმოების საგანმანათლებლო და კვლევითი დაწესებულებების თანამშრომლობა და ყველაფერი ეს გაზრილი კონკურენციის ფონზე.

მსოფლიო ქვეყნები და უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები მნიშვნელოვან სარგებელს ხედავენ საერთაშორისო თანამშრომლობაში. სტუდენტების გაცვლითი საერთაშორისო პროგრამები არის ერთი-ერთი სტრატეგია, რომელსაც იყენებენ მთავრობები, რათა ახალგაზრდობა და შესაბამისად, ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური მომავალი იყოს შედეგზე ორიენტირებული, ურთიერთდაკავშირებული ეკონომიკასა და საზოგადოებაში, ეკონომიკის სტიმულირებისათვის ქვეყანას სჭრდება უკეთესად მომზადებული სამუშაო ძალა.[2] ჩინეთის მთავრობამ 2008 წელს დააფინანსა უცხოეთში სწავლების პროგრამები და სტიპენდიები 2.7 მილიარდი დოლარით მაშინ, როდესაც 2006 წელს მხოლოდ 240 მილიონი დოლარი იყო გამოყოფილი ამ მიზნებისათვის. 2010 წელს ჩინეთის მთავრობის ხარჯმა სტუდენტთა საერთაშორისო სწავლების დაფინანსებაზე მშპ-ს 4% შეადგინა.

უნივერსიტეტები და ქვეყნები ეხმარებიან სტუდენტებს, მკვლევარებს და პედაგოგებს საზღვარგარეთ სწავლაში, რადგან მათი მიზანია:

- საერთაშორისო ურთიერთგაგების განმტკიცება;
- სამუშაო უნარების გაუმჯობესება და დასაქმების დონის გაზრდა;
- დარგში/სფეროში ცოდნის დონის ამაღლება;

---

[1] [1] ნინო ჯოჯუა, უმაღლესი განათლების როლი და ფუნქცია ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის, გვ. 109

[2] უმაღლესი განათლების როლი და ფუნქცია ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის, სტატია თუ წიგნი თუ სტრატეგია მიუთითეთ, სტატია: ნინო ჯოჯუა ეროვნული თავდაცვის აკადემია
გვ: 109, 110, 111

- საგანმანათლებლო პროგრამების, ხარისხის ამაღლება.[3]

ინჩიონის დეკლარაციის მიხედვით განათლება ადამიანის აძლევს შესაძლებლობას განვითარდეს პროფესიულად და პიროვნულად. ყველა ადამიანს აქვს უფლება მიიღოს განათლება, ამ უფლების რეალიზებისათვის, ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ თანაბარი ხელმისაწვდომობა თანასწორ, ხარისხიან განათლებაზე და სწავლებაზე, რომელიც იქნება უფასო, და არავის დატოვებს ყურადღების მიღმა. განათლების მიზანს უნდა წარმოადგენდეს პიროვნების სრული განვითარება და ხელს უწყობდეს ურთიერთგაგებას, ტოლერანტობას, მეგობრობას და მშვიდობას.

განათლება საჯარო სიკეთეა, რომლის გავრცელებაზეც ვალდებულება აღებული აქვს სახელმწიფოს. განათლება საერთო საზოგადოებრივი ძალაა, სამოქალაქო საზოგადოებას, მასწავლებლებს და აღმზრდელებს, თემებს, ოჯახებს, ახალგაზრდებს და ბავშვებს ყველას აქვს მნიშვნელოვანი როლი ხარისხიანი განათლების ჩამოყალიბებაში.

გენდერული თანასწორობის მიდგომა მოითხოვს, რომ გოგონებმა და ვაჟებმა, ქალებმა და კაცებმა არამხოლოდ მიიღონ წვდომა და დაასრულონ საგანმანათლებლო პერიოდი, არამედ აღჭურვილი იყვნენ თანაბარი უფლებებით განათლების პერიოდში. ასევე ყველა ასაკობრივ ჯგუფს, მათ შორის ზრდასრულებს უნდა ჰქონდეთ როგორც სწავლის, ასევე მისი გაგრძელების შესაძლებლობა, დაბადებიდან მოყოლებული, სიცოცხლის მანძილზე სწავლება ყველასათვის, ყველა ფორმით და განათლების ყველა დონეზე უნდა იყოს განათლების სისტემების ნაწილი, ინსტიტუციური სტრატეგიების და პოლიტიკის, ადეკვატური რესურსებით უზრუნველყოფილი პროგრამების და მჭიდრო პარტნიორების მეშვეობით ადგილობრივ, რეგიონალურ, ეროვნულ და გლობალურ დონეებზე. ეს მოითხოვს არაერთგვაროვანი და მოქნილი სასწავლო კურსების მიწოდებას, ყველა ასაკში და განათლების ყველა დონეზე სწავლის დაწყების და სწავლის ნიშნულების დადგენას, ფორმალურ და არაფორმალურ სტრუქტურებს შორის კავშირის გაძლიერებას, და

უმაღლესი განათლების როლი და ფუნქცია ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის, სტატია თუ წიგნი თუ სტრატეგია მიუთითეთ
სტატია: ნინო ჯოჯუა ეროვნული თავდაცვის აკადემია
გვ: 112.

არაფორმალური და არაოფიციალური განათლების შედეგად შეძენილი ცოდნის, უნარების, და კომპეტენციების აღიარებას, დადასტურებას და აკრედიტაციას, სიცოცხლის მანძილზე სწავლება ასევე მოიცავს თანასწორ და გაზრდილ წვდომას ხარისხიან ტექნიკურ და პროფესიულ განათლებაზე, გადამზადებაზე, უმაღლეს განათლებაზე და კვლევაზე სათანადო ყურადღების მიპყრობის გათვალისწინებით შესაბამისი ხარისხის უზრუნველსაყოფად.

ინჩიონის დეკლარაციის მიხედვით ხელი უნდა შეეწყოს სწავლების შე-საძლებლობების შექმნას მთელი ცხოვრების მანძილზე, განათლების ყველა სტრუქტურაში და დონეზე, ეს მოიცავს თანასწორ და გაზრდილ ხელმისაწვდომობას ხარისხიან პროფესიულ და ტექნიკურ განათლებაზე ამავდროულად მნიშვნელოვანია, სწავლის მოქნილი გეგმის არსებობასთან ერთად არაფორმალური და ფორმალური განათლების მიღების შედეგად მიღებული ცოდნის და უნარების აღიარება, დამტკიცება და აკრედიტაცია. ყველა ახალგაზრდა და ზრდასრული, უნდა დაეუფლოს ფუნქციონალური წიგნიერების და რაოდენობრივი უნარების შესაბამის და აღიარებულ დონეს, ცხოვრებისეულ უნარებს და ამავდროულად, ისინი უზრუნველყოფილი იქნან ზრდასრულთა სწავლების განათლების და გადამზადების შესაძლებლობებით.

განათლებას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მდგრადი განვითარების 2030-ის დღის წესრიგში და წარმატების განხორციელების განუყოფელი ნაწილია. იგი ცალკე მიზნად გამოყოფოს ისეთ მიზნებს, რომლებიც უკავშირდება ეკონომიკურ ზრდას, დასაქმებას, ჯამრთელობას, წარმოებას, კლიმატის ცვლილებას. აქედან გამომდინარე, უნდა გაიზარდოს სახელმწიფო დანახარჯები განათლებაზე ქვეყნების შესაძლებლობების შესაბამისად, დანახარჯები უნდა შეადგენდეს მთლიანი შიდა პროდუქტის 4-6% ან მთლიანი სახელმწიფო დანახარჯების არანაკლებ 15/20 %-ს.

ძალიან მნიშვნელოვანია განვითარების კუთხით მთავრობების მხრიდან გაწეული ინვესტიციები. განვითარებულმა და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებმა უნდა გაზარდონ განათლების დაფინანსება და მხარი დაუჭირონ ყველა იმ რეფორმის გატარებას, რაც ხელს შეუწყობს განათლების მიღებასა და მის გავრცელებას.

დღეს ,,განათლება 2030“ დანახული უნდა იქნას განვითარების უფრო ფართო დონეზე. განათლების სისტემა უნდა შეესაბამებოდეს და პასუხობდეს სწრაფად-

ცვალებად დასაქმების ბაზარს, ტექნოლოგიურ წინსვლას, ურბანიზაციას, მიგრაციას, პოლიტიკურ არასტაბილურობას, გარემოს დეგრადაციას, სტიქიურ საფრთხეებს და კატასტროფებს, კონკურენციას ბუნებრივი რესურსებისათვს, დემოგრაფიულ გამოწვევებს, მზარდ უმუშევრობას გლობალური მასშტაბით, მუდმივ სიღატაკეს, გაზრდილ უთანასწორობას და მომატებულ საფრთხეებს, რომელიც ემუქრება მშვიდობას და უსაფრთხოებას.

სოციალურ და ეკონომიკურ მდგრადობა განათლება 2030-ის დღის წესრიგის განმსაზრვრელი ნიშანია. იგი ერთიანი ჰუმანური ხედვის შემადგენელი ნაწილია, რომელიც ხელს უწყობს განვითარების ახალი მოდელის ჩამოყალიბებას, ეს ხედვა სცილდება განათლებისადმი უტილიტარულ მიდგომას და საკუთარ თავში აერთიანებს ადამიანის არსებობის მრავალ განზომილებას, განათლება განიხილება, როგორც მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელიც ხელს უწყობს დემოკრატიის, ადამიანის უფლებების და გლობალური მოქალაქეობის გაძლიერებას, ტოლერანტობასა და სამოქალაქო ჩართულობას და ასევე, მდგრად განვითარებას. განათლება ფასილიტაციას უწევს კულტურებს შორის დიალოგს და ანვითარებს პატივისცემას კულტურული, რელიგიური და ლინგვისტური მრავალფეროვნების მიმართ, რაც სასიცოცხლოდ აუცილებებლია სოციალური ერთსულოვნების და სამართლიანობის მისაღწევად.

სარგებელი დიდია იმ ქვეყნებისთვის და საზოგადოებისთვის, რომლებმაც აღიარეს ხარისხიანი განათლების მიწოდების საჭიროება ყველასათვის, გრძელდება მტკიცებულებების დაგროვება, რომლის მიხედვითაც განათლება წარმოადგენს უალტერნატივო ძალას ცხოვრების გასაუმჯობესებლად, განათლებას ძირითადი ადგილი ენიჭება სიღარიბის აღმოფხვრაში: იგი ეხმარება ადამიანებს მიიღონ კარგი დამსახურებული სამსახური, ზრდის მათ შემოსავლებს და იწვევს პროდუქტიულობის ზრდას, რაც ასაზრდოებს ეკონომიკურ განვითარებას, განათლება წარმოადგენს ყველაზე ძლიერ საშუალებას თანასწორუფლებიანობის მისაღწევად. განათლება ასევე ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა ადამიანების ჯამრთელობის გასაუმჯობესებლად და კეთილდღეობის მომავალ თაობებზე გადაცემის უზრუნველსაყოფად. გარდა ამისა განათლება ხელს უწყობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ჩართულობას,

ასევე, ის დაცვის საიმედო საშუალებაა ბავშვებისათვის, ახალგაზრდებისათვის და ზრდასრულებისათვის, რომელთა ცხოვრება განადგურდა კრიზისის და კონფლიქტის გამო და აღჭურავს მათ ინსტრუმენტებით, რათა აღადგინონ საკუთარი ცხოვრება.

იმისათვის, რომ ყველაზე მოახდინოს გავლენა განათლების ძალამ, მოითხოვს მეტი შესაძლებლობის შექმნას ყველასგან, მაგრამ განსაკუთრებით კონფლიქტის ქვეყნებსა და რეგიონებში. განათლებასთან დაკავშირებით ყველაზე დიდი ნაპრალი გვხვდება იქ, სადაც კონფლიქტი და საგანგებო მდგომარეობაა. აქედან გამომდინარე ძალიან მნიშვნელოვანია ისეთი განათლების სისტემების შექმნა, რომლებიც უფრო კომფლიქტურ სიტუაციაშიც კი ხელს შეუწყობს ახალგაზრდების განათლებასა და განვითარებას . უზრუნველყოფილი უნდა იქნას განათლების შენარჩუნება საგანგებო სიტუაციის, კონფლიქტის და კონფლიქტის შემგომ სიტუაციებში. უკეთეს განათლებას, ასევე ცენტრალური ადგილი უკავია კონფლიქტების და კრიზისების პრევენციაში, შერბილებაში და მშვიდობის ხელშეწყობაში.

1.2 უმაღლესი განათლების დაფინანსების მოდელები

ბოლო პერიოდში ევროპის ქვეყნებში უმაღლესი განათლების ინსტიტუციური დაფინანსების მექანიზმი იცვლება, რაც ძირითადად უნივერსიტეტების მიერ სახელმწიფო ფინანსების განკარგვის მზარდ ავტონომიასა და თანხების გამოყოფის წესის გამარტივებაში აისახება.

უნივერსიტეტების მიერ საჯარო დაფინანსების მიღების ორი ძირითადი წესი მოქმედებსევროპაში: ბლოკ-გრანტების მიღება და მუხლობრივი დაფინანსება.

ეს უკანასკნელი გულისხმობს იმას, რომ უნივერსიტეტებს თანხა გადაეცემათ კონკრეტული დანიშნულებით და შესაბამისად, მათ უფლება არ აქვთ, საკუთარი სურვილების მიხედვით გაანაწილონ ეს თანხა. უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ მუხლობრივი დაფინანსების მექანიზმი სულ რამდენიმე ქვეყანაში მოქმედებს: (საბერძნეთი, ჩეხეთი, კვიპროსი, ბულგარეთი, ლატვია). ბლოკ-გრანტების შემთხვევაში კი უნივერსიტეტს პირდაპირ გადაეცემა გარკვეული თანხა დანიშნულების

მითითების გარეშე. ევროპული ქვეყნების უმრავლესობაში სწორედ ბლოკ გრანტები წარმოადგენს დაფინანსების მთავარ მექანიზმს და შესაბამისად თვითონ უნივერსიტეტის შიდა სტრუქტურები გადაწყვეტენ, თუ როგორ განაწილდეს სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი დაფინანსება.

როგორც წესი, ბლოკ-გრანტების ძირითადად ისეთი ხარჯები იფარება, როგორიც არის პერსონალის ანაზღაურება და მიმდინარე ხარჯები. ბევრ ქვეყანაში ბლოკ-გრანტები ასევე გამოიყენება კვლევის ხარჯების ასანაზღაურებლად. აღსანიშნავია, რომ ზოგ ქვეყანაში ბლოკ-გრანტების განკარგვა უნდა შეესაბამებოდეს უნივერსიტეტის მიერ სახელმწიფოსათვის წინასწარ წარდგენილ სქემას (ბელგია, უნგრეთი, საფრანგეთი, ლიტვა).

სხვადასხვა ქვეყანაში უმაღლეს განათლებაზე გამოყოფილი სახელმწიფო დაფინანსების უმაღლეს სასწავლებლებს შორის განაწილების სხვადასხვა ფორმა არსებობს. სახელმწიფოები სხვადასხვა მეთოდით ხელმძღვანელობენ, როცა წყვეტენ, თუ როგორ გაანაწილონ უმაღლეს განათლებაზე გამოყოფილი თანხა სხვადასხვა სასწავლებლებს შორის და რა ფორმით გადასცენ ეს თანხები მათ.

დაფინანსების რამდენიმე მოდელს შორის ამჟამად გავრცელებული არის თანხების განაწილება დაფინანსების ფორმულის საფუძველზე. დაფინანსების ამ ფორმას იყენებს ევროპის თითქმის ყველა ქვეყანა. ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში უნივერსიტეტებს სახელმწიფოსგან პირდაპირი გზით გადაეცემათ დაფინანსება და ამ დაფინანსების ოდენობა შესაძლებელია დამოკიდებული იყოს რამდენიმე პარამეტრზე. პარამეტრი, რომელიც ყველაზე ხშირად გვხვდება დაფინანსების ფორმულებში, არის წინა წელს ამა თუ იმ უნივერსიტეტში დარეგისტრირებული სტუდენტების რაოდენობა, რომელსაც სათანადო წონა ენიჭება სწავლების მიმართულების მიხედვით. ზოგ ქვეყანაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა იმას, თუ რამდენი სტუდენტი იყო დარეგისტრირებული წინა წელს, არამედ იმას, თუ რამდენი სტუდენტის მიღება შეუძლია სასწავლებელს სახელმწიფოსა და სასწავლებლის ხელმძღვანელობას შორის არსებული შეთანხმების თანახმად (ესტონეთი, ლატვია, და ფინეთი) რიგ ქვეყნებში დაფინანსების გამოსათვლელ ფორმულაში ასევე შედის სხვა კომპონენტები, როგორიც არის უნივერსიტეტების შენობების გარემონტების ხარჯები

(საფრანგეთი, ფინეთი). ადგილმდებარეობა (გაერთიანებული სამეფო), პერსონალის რაოდენობა (საბერძნეთი საფრანგეთი, პოლონეთ, პორტუგალია).

ბოლო დროს უფრო და უფრო პოპულარული ხდება ევროპაში ახალი კომპონენტის - შესრულების/პროგრესის ინდიკატორის ჩართვა. ევროკავშირის წევრი ქვეყნების დაახლოებით ნახევარი უკვე იყენებს პროგრესის მაჩვენებელს რათა გაანსაზღვროს უნივერსიტეტში დაფინანსების ოდენობა. ამ გზით სახელმწიფოებს სურთ უზრუნველყონ, რომ დაფინანსება, დამოკიდებული იყოს როგორც რესურსზე, ასევე პროდუქტზე. ამ პარამეტრის ძირითად შემადგენელ ნაწილს სტუდენტების პროგრესის ინდიკატორები წარმოადგენს, მაგალითად უნივერსიტეტის დასრულების მაჩვენებელი, დაგროვებული კრედიტების რაოდენობა და ა.შ. ზოგიერთ ქვეყანაში იყენებენ აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის იდიკატორებს (პოლონეთი პორტუგალია, რუმინეთი, დაწესებულების ოფიციალური შეფასების შედეგებს (საბერძნეთი, ლიტვა, პორტუგალია).

გარდა დაფინანსების ფორმულისა, უნივერსიტეტებისათვის საჯარო თანხები შესაძლოა გამოიყოს სხვა პრინციპითაც. ეს შეიძლება იყოს მოლაპარაკება სახელმწიფოსა და სასწავლო დაწესებლებებს შორის, კონკრეტული სამეცნიერო პროექტების დაფინანსება და ა.შ.

საქართველოში არსებული უმაღლესი დაფინანსების სისტემა მნიშვნელოვნად განსხვავდება ევროპის ქვეყნების დაფინანსების სისტემებისაგან, რთულია ისეთი მოდელის წარმოდგენა, რომელიც უმაღლესი განათლების ეროვნული მიზნების, თანაბარი ხელმისაწვდომობის და თანასწორობის პრინციპების შესაბამისი იქნება და ამავე დროს არსებითად განსხვავებული არ იქნება ამჟამინდელი დაფინანსების სისტემისგან. ვფიქრობთ, რომ საშუალოვადიან პერსპექტივაში საქართველოსთვის ოპტიმალური იქნება დაფინანსების არსებული მოდელის მოდიფიცირება ისე, რომ შენაჩუნებული იქნას ვაუჩერული დაფინანსების ელემენტი, მაგრამ ამასთან ერთად შემოღებული იქნას უნივერსიტეტების ბლოკ-გრანტებით დაფინანსების მექანიზმი დაფინანსების ფორმულის მეშვეობით. ასე შესაძლებელი იქნება უნივერსიტეტებისათვის, როგორც კონკურენტუნარიანი, ასევე სტაბილური გარემოს შექმნა. აგრეთვე, პარალელურად შემოღებული უნდა იქნას საუნივერსიტეტო

კვლევების დაფინანსების მექანიზმი, რომელთა მოცულობა დაფუძნებული იქნება შესრულების ინდიკატორებზე.

გრძელვადიან პერსპექტივაში უმაღლესი განათლებისა და საუნივერსიტეტო კვლევის დაფინანსების ბლოკ-გრანტების სისტემაზე გადასვლა ყველაზე მისაღებ მექანიზმად მიიჩნევა.

- **სწავლების საფასური და სტუდენტთა დახმარების მექანიზმი;**

როდესაც განვიხილავთ უმაღლესი განათლების ფინანსური ხელმისაწვდომობის საკითხს საჭირო ორი ძირითადი პარამეტრის მიღება მხედველობაში: სწავლების გადასახადი და სტუდენტთა დახმარების მექანიზმები. ორივე ამ პარამეტრის მიხედვით განვითარებული ქვეყნები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან

ორივე რიგ ქვეყნებში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტები მთლიანად გათავისუფლებული არიან სწავლების გადასახადისაგან, სწავლების საფასურის ოდენობა ასევე ძალიან განსხვავდება დისციპლინების მიხედვით.

ამჟამად ზოგადად სწავლების საფასურის ოდენობის დაწესება და ამ საფასურის გადასახდელად სტუდენტთა დახმარების სათანადო მექანიზმების ამოქმედება უმაღლესი განათლების პოლიტიკის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს. ვინაიდან ერთი მხრივ მნიშვნელოვანია ხარისხის განვითარებისათვის უნივერსიტეტების ძვირადღირებული სათანადო ტექნიკური რესურსებით და მაღალკვალიფიციური პროფესიული კადრებით უზრუნველყოფა და ამისთვის საჭირო ფინანსური რესურსების მოსაზიდად მიმზიდველ საშუალებას წარმოადგენს სწავლების საფასურის გაზრდა. მაგრამ, მეორე მხრივ გასათვალისწინებელია განსაკუთრებით სოციალურად დაუცველი და დაბალშემოსავლიანი სტუდენტებისათვის თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, მიუხედავად იმის თუ როგორი სასტარტო პირობები აქვთ მათ.

ამ მხრივ განვითარებული ქვეყნების სისტემა ძალიან განსხვავდება ერთმანეთისაგან. მაგალითად სკანდინავიურ ქვეყნებში, სადაც გადასახადების პროგრესული სისტემა მოქმედებს, სტუდენტები უმაღლესი განათლების საფასურს არ იხდიან, ა.შ.შ-ში, კორეასა და ჩილეში საშუალო სწავლების საფასური წელიწადში 5000

დოლარს აღემატება. ევროპის ქვეყნებიდან გაერთიანებულ სამეფოში, ნიდერლანდებსა და სლოვაკეთის რესპუბლიკაშია 1500 დოლარზე მეტი სწავლების გადასახადი მხოლოდ.

სწავლების საფასური, როგორც საჯარო ასევე კერძო დაწესებულებებში საკმაოდ მაღალია განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით საქართველოში. ბოლო წლებში სასწავლებლებში გაიზარდა სწავლის გადასახადი და მაქსიმალურმა საფასურმა 2012 წელს 2250 ლარი შეადგინა, რაც ეროვნული პერ კაპიტა მშპ-ს 39 %-ს წარმოადგენს. კერძო სასწავლებლებში ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო დიდია და საშუალოდ 73%-ს უტოლდება.

სახელწიფო იღებს ვალდებულებას დაეხმაროს სტუდენტებს და მათ ოჯახებს. იმის მიხედვით, თუ როგორია უმაღლესი განათლების დაფინანსების მიმართ დამოკიდებულება ქვეყანაში, როგორი სახის სტუდენტთა დახმარების სისტემა მოქმედებს ქვეყანაში და რამდენია სწავლების საფასური.

ცხრილი#1 დაფინანსების მოდელები

	1-ლი მოდელი	მე-2 მოდელი	მე-3 მოდელი	მე-4 მოდელი
სწავლების გადასახადი	**დაბალი**	**მაღალი**	**მაღალი**	**დაბალი**
სტუდენტთა დახმარების სისტემა	ძლიერი	ძლიერი	სუსტი	სუსტი
ჩართულობა	მაღალი, 74%	მაღალი, 76%	დაბალი, საშუალო	საშუალო
დაფინანსება სხვა კერძო წყაროებიდან	დაბალი	მაღალი		
სოციალური სისტემა	სოციალურ თანასწორობაზე ორიენტირებული	ლიბერალური	ლიბერლური	კორპორატიული, შერეული
საგადასახადო სისტემა	პროგრესული	ლიბერალური	ლიბერლური	შერეული

ქვეყნები	ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნები	ა.შ.შ, ნიდერლანდები, გაერთიანებული სამეფო	ჩილე, იაპონია, კორეა	სხვა ევროპული ქვეყნები

ბოლო წლებში განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო გაერთიანებული სამეფოსა და ნიდერლადების გადასვლა მეოთხედან მეორე მოდელზე. მოცემულ ქვეყნებში წინა წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა სწავლების საფასური უნივერსიტეტებში, მაგრამ ამავდროულად ამოქმედდა სტუდენტთა დახმარების სისტემებიც. ამ ქვეყნებში საკმაოდ დიდი წილი უმაღლესი განათლების დაფინანსებისა მომდინარეობს კერძო წყაროებიდანაც, მაგალითად: ბიზნესი, კორპორაციები დ.ა.შ.

საქართველო ამჟამად ყველაზე ახლოს არის დაფინანსების მესამე მოდელთან- სწავლის საფასური ძალიან მაღალია, ხოლო სტუდენტთა დახმარების მექანიზმი არ არის ძლიერი, რაც სოციალურად დაუცველ მოსახლეობას აყენებს პრობლემურ მდგომარეობაში. საქართველოსთვის სასურველი ჰიპოთეტური მოდელი შესაძლოა მიუახლოვდეს მეორე მოდელს, რომელიც გულისხმობს სწავლების მაღალ გადასახადსა და სტუდენტთა დახმარების ძლიერ სისტემას. აუცილებელი კომპონენტია ასევე სტუდენტთა დახმარების მექანიზმის გაძლიერება, რადგანაც ამჟამად არსებული ვაუჩერული დააფინანსების მოდელი წარმოადგენს უნივერსიტეტების არაპირდაპირი დაფინანსების გზას, ვიდრე სტუდენტთა დახმარების მექანიზმს. მნიშვნელოვანია გაძლიერდეს სოციალური გრანტების პროგრამა, ყველა სოციალურად დაუცველ მოქალაქეს, რომელიც შეძლებს უნივერსიტეტში მისაღები გამოცდის ჩაბარებას, სახელმწიფომ გადაუხადოს სწავლების საფასური.[4]

1.3 უმაღლესი განათლების დაფინანსები მნიშვნელობა ეკონომიკურ მიღწევებთან მიმართებაში

[4] უმაღლესი განათლებისა და კვლევის სტრატეგიული განვითარება საქართველოში

განათლების სფეროში ინვესტიციებისა და განათლებაში ჩართულობის მაჩვენებლების ზრდის კვალდაკვალ სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა ფორმალური განათლებით განპირობებულ შედეგებსა და სარგებელს. შედეგის მომცემია უმაღლეს განათლებაში ჩადებული ინვესტიცია? მომგებიანია თუ არა სახელმწიფოსა და კერძო პირებისათვის უმაღლეს განათლებაში ფულის ჩადება? ამ კითხვებზე პასუხს მკვლევარები ორ ძირითადი მიმართულებით განიხილავენ:

- საინტერესოა, როგორ ცვლის განათლების დამატებითი დონე კერძო და საზოგადოებრივ ფინანსურ სარგებელს, რამდენად განსხვავდება შემოსავალი ან დასაქმების მაჩვენებლები განათლების დონეების მიხედვით?
- გარდა ამისა საინტერესოა, განათლების სოციალური შედეგიც: როგორ მოქმედებს განათლების დამატებითი დონე ადამიანთა ცხოვრების ხარისხზე, საზოგადოებრივ წესრიგსა და ადამიანთა კეთილდღეობაზე?

სამეცნიერო წრეებში გამართული მსჯელობის კვალდაკვალ მოცემულ საკითხები უმაღლესი განათლების პოლიტიკის კვლევებშიც გადაინაცვლებს და რამდენიმე მნიშვნელოვან კითხვას ქმნის:

- . ახდენს თუ არა გავლენას უმაღლესი განათლება ცალკეული პირების შემოსავლებზე და დასაქმების ალბათობაზე?
- . განსხვავდება თუ არა უმაღლესი განათლების გავლენა შემოსავლებზე და დასაქმების ალბათობაზე სხვადასხვა მახასიათებლების მიხედვით? კერძოდ: როგორია უმაღლესი განათლებიდან მიღებული შედეგი სასწავლო სფეროს მიხედვით? მაგალითად: როგორ განსხვავდება საინჟინრო სპეციალობების კურსდამთავრებულების შემოსავლები და დასაქმების შანსები ჰუმანიტარული მიმართულების კურსდამთავრებულების მსგავსი მაჩვენებლებისგან? - როგორია უმაღლესი განათლებიდან ამონაგები სასწავლო დაწესებულების ტიპის

მიხედვით: განსხვავდება თუ არა კერძო და სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულთა დასაქმების ანაზღაურება?[5]

- **განათლების ეკონომიკური და სოციალური ეფექტის საზომები**

განათლებასა და შემოსავლებს შორის კავშირის დასადგენად ორი ძირითადი საზომი გამოიყენება: განათლების უკუგება და სარგებელი განათლების დონეების მიხედვით.

1. განათლების უკუგება (ამონაგები განათლებაზე გაწეული ინვესტიციებიდან) წარმოადგენს განათლებაზე გაწეული დანახარჯებისა და განათლებიდან მიღებული საზოგადოებრივი და პირადი ფინანსური სარგებლის მიმართებას განათლების სარგებლის შედარებას. განათლებიდან საზოგადოებრივი ამონაგები წარმოადგენს სახელმწიფოს ან საზოგადოების მიერ გაწეული ხარჯების შედარებას დასაქმებიდან მიღებულ შემოსავლებთან. განთლებიდან სარგებლის მაჩვენებელს იყენებენ განათლებაზე სახელმწიფოს მიერ გაწეული ხარჯების ეფექტურობის შესაფასებლად.

2. ფარდობითი სარგებელი განათლების დონეების მიხედვით.

ამ მაჩვენებლის გამოსაანგარიშებლად საზოგადოებრივ და კერძო სარგებელს ადარებენ განათლების დონეების მიხედვით, ათვლის წერტილს კი, საშუალო განათლება წარმოადგენს.

მოცემული საზომებიდან, უფრო მეტად მისაღები პერველი საზომია, გარდა სწავლაზე გაწეული ხარჯებისა, იგი ითვალისწინებს განათლების სხვა ხარჯებს და სამუშაო გამოცდილებას. მაგრამ სიმარტივისათვის ზოგიერთ კვლევებში მეორე საზომსაც იყენებენ.

განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი (EPPM). თავის კვლევაში ,,უმაღლესი განათლების გავლენა სამუშაო ძალის ფორმირებაზე" ორივე საზომს იყენებს. მათ მიერ შედგენილ კვლევის ფარგლებში, მოცემულია, როგორც განათლების უკუგების მაჩვენებელი, ისე განათლების დონეების ფარდობითი მაჩვენებელი.

- **განათლების ეფექტის ანალიზის ძირითადი თეორიები**

---

[5] კვლევა: უმაღლესი განათლების გავლენა სამუშაო ძალის ფორმირებაზე კვლევის კოორდინატორი: გიორგი მაჩაბელი, გვერდი 4
მკვლევარები: ნათია ანდღულაძე, თამარ ბრეგვაძე, რევაზ აფხაზავა

განათლების ეკონომიკური და სოციალური ეფექტის ანალიზის განხილვისას სამი ძირითადი თეორია გამოიკვეთება:

- ადამიანური კაპიტალის თეორიის მიხედვით (Becker, 1967) მიხედვით ადამიანები განათლებას იღებენ მათ მიერ განათლებაში ჩართვის მომენტისათვის გათვლილი სარგებლისა და დანახარჯების (სწავლის საფასური და ალტერნატიული დანახარჯები) შეფარდების გათვალისწინებით. განათლების მიღებამ უნდა გაზარდოს შემოსავალი და გააუმჯობესოს ადამიანთა ცხოვრების დონე და ხარისხი.

  მთავაი მიზანი კი ადამიანისთვის შედეგის წარმოჩენაა: სხვაგვარად რომ ვთქვათ, განათლების მიღებაზე უფრო მაღალ ღირებულებას განათლებაში ჩართული პირისთვის დიპლომის აღებაა და არა უშუალოდ განათლებაში ჩართვის შედეგად ახალი ცოდნისა და უნარების შეძენა. უფრო მაღალპროდუქტიული ადამიანები ირჩევენ განათლების მაღალ საფეხურებს, დაბალი პრროდუქტიულობის მქონე ადამიანებთან შედარებით და სწორედ ეს აისახება მათი შრომის ანაზღაურებაზე.[6]

- მკვლევართა ნაწილმა გამოკვეთა თანდაყოლილი ინტელექტის გავლენა პროდუქტიულობაზე და შემოსავლებზე. ამ თეორიის თანახმად, ადამიანის პროდუქტიულობას მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს თანდაყოლილი ინტელექტი. თეორიის შესამოწმებლად რამდენიმე კვლევა ჩატარდა, მათ შორის ყველაზე ძველი ბრიტანეთში ჩატარებული კვლევა. ბავშვის განვითარების ნაციონალური გამოკითხვის ფარგლებში იკვლევდნენ 1958 წელს დაბადებულთა უნარების ტესტების შედეგებს. ზრდასრულ ასაკში დასაქმებიდან მიღებულ შემოსავლებს. ამ კვლევების შედეგად თანდაყოლილი უნარების ეფექტი ვერ აღმოაჩინეს, თუმცა, ასეთ კვლევებს აკრიტიკებდნენ იმის გამო, რომ ისინი ვერ ზომავენ ისეთ მნიშვნელოვან პიროვნულ მახასიათებლებს, როგორიცაა მოტივაცია.

---

[6] კვლევა: უმაღლესი განათლების გავლენა სამუშაო ძალის ფორმირებაზე კვლევის კოორდინატორი: კვლევის კოორდინატორი გიორგი მაჩაბელი, გვერდი 4
მკვლევარები: ნათია ანდღულაძე, თამარ ბრეგვაძე, რევაზ აფხაზავა

განათლების ეკონომიკური და სოციალური ეფექტის კვლევის საყრდენი მეცნიერული თეორიები გულისხმობს, რომ განათლების ეკონომიკური სარგებლის სრულფასოვანი ანალიზი შეუძლებელია სხვადასხვა სოციალური ფაქტორებისა და ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინების გარეშე. განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის კვლევა, შესაბამისად, უმაღლესი განათლების არა მხოლოდ ეკონომიკური სარგებლის, არამედ სოციალური ეფექტის ანალიზსაც გულისხმობს. კერძოდ, გვაინტერესებს, განსხვავდება თუ არა განათლების ეკონომიკური სარგებელი ინდივიდის სხვადასვა სოციალური მახასიათებლების მიხედვით და ასრულებს თუ არა განათლება საზოგადოებაში არსებული სოციალური უთანასწორობის გამოთანაბრების ფუნქციას.

ფარდობითი სარგებელი განათლების დონეების მიხედვით ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეგთო OECD) მიერ მიღებული ბოლო მონაცემები გვიჩვენებს, რომ საშუალოდ ეგთოს ქვეყნებში უმაღლესი განათლების მქონე პირების დასაქმებიდან შემოსავალი 55 %-ით მეტია საშუალო განათლების არმქონე პირებთან შედარებით. ეს განსხვავება იზრდება ასაკთან ერთად. 25-34 წლის ასაკობრივ ჯგუფებში განსხვავება 37%-ს, 55-64 ასაკობრივ ჯგუფში კი 69%-ს შეადგენს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უმაღლესი განათლების ორ დონეს - A (აკადემიურ) და B (პროფესიული) განსხვავებული ეფექტი აქვს შემოსავლებზე. B ციკლის ეფექტი და დროში ზრდის ტემპი შედარებით დაბალია. უმაღლეს განათლებულთა დასაქმებიდან შემოსავლები განათლების უფრო დაბალი მიღწევის მქონე პირებთან შედარებით მაღალი რჩება, ბოლო 10 წლის განმავლობაში.

უმაღლესი განათლების ეფექტი - დასაქმებიდან შემოსავლები და დასაქმების შანსები იზრდება ასაკთან და გამოცდილებასთან ერთად.

- **განათლებაზე მოქმედი სხვა ფაქტორები**

როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, განათლება მნიშვნელოვანწილად განაპირობებს შემოსავლებში განსხვავებებს, მაგრამ განათლების ერთი და იგივე დონის მიღწევის შემდეგ, ადამიანებს შორის დასაქმებიდან მიღებულ შემოსავლებში მაინც აღინისნება მნიშვნელოვანი განსხვავებები. ამ

განსხვავებების ახსნას ათეულობით კვლევა მიეძღვნა და შედეგეად რამდენიმე ფაქტორი გამოიკვეთა.

სქესი: განათლების დონის ამაღლება ვერ ამცირებს გენდერულ განსხვავებას მიღებულ შემოსავლებში. ეგთოს ქვეყნების მონაცემებიდან ჩანს, რომ ქალებისა და მამაკაცების შემოსავლებს შორის განსხვავება ყველაზე დაბალი - საშუალო და პროფესიულ დონეზეა, ყველაზე მაღალი კი უმაღლესი განათლების მქონეთა შორის და ასაკის მატებასთან ერთად იცვლება. უმაღლესგანათლებულთა შორის, 55-64 წლის ასაკის ქალების ხელფასი შედარებით მაღალია ფინეთში, გაერთიანებულ სამეფოში, ახალ ზელანდიაში, ესპანეთსა და სლოვენიაში და კაცების ხელფასის 75% ან მეტია. ეს განსხვავებები ნაწილობრივ დასაქმების სფეროებში და განათლების სფეროების განსხვავებით აიხსნება. მკვლევართა ნაწილი განათლების თანაბარი მიღწევების მქონე პირებში სქესის მიხედვით ხელფასებში განსხვავებას შრომის ბაზრის დისკრიმინაციით ხსნის, მაგრამ მეორე ნაწილი ამტკიცებს, რომ ეს განსხვავებები განპირობებულია სწავლის სფეროებში განსხვავებებით და იმით, რომ ქალები ნაკლებად ირჩევენ სწავლის იმ სფეროებს, რომლებიც მათში შრომის ბაზარზე მაღალი ღირებულებების მქონე უნარებს ავითარებს. გოგონები ბიჭებისაგან განსხვავებით, უფრო მეტად ირჩევენ დაბალ ანააზღაურებიან სფეროებს, როგორებიცაა: განათლება, სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები, ამასთანავე, გოგონების წილი მაღალშემოსავლიან სფეროებში დაბალია, მაგალითად: საინჟინრო სპეციალობები, მათემატიკა და ზუსტი მეცნიერებები. ეს არჩევანი ნაწილობრივ აიხსნება უფრო დაბალი მათემატიკური უნარებით. დაბალი მათემატიკური უნარების მქონე ახალგაზრდები საუნივერსიტეტო განათლების დონეზე ირჩევენ განათლებას, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებს. გენდერული ბალანსის მისაღწევად მკვლევართა ნაწილი სკოლის დონეზე მათემატიკისა სწავლისადმი დამოკიდებულების შეცვლაზე უწევენ რეკომენდაციას. **ოჯახი:** ოჯახის მახასიათებლების გავლენის შესწავლისას ორი მახასიათებლის - ოჯახის შემადგენლობისა და მშობლების განათლების ეფექტი იკვეთება. ამ მიმართულებით ჩატარებული კვლევები აჩვენებს, რომ ოჯახის მახასიათებლები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს განათლებიდან ამონაგებზე.

ოჯახის სოციო-ეკონომიკური მახასიათებლები მნიშვნელოვან ინდიკატორად ითვლება, რაც უფრო დაბალია მშობლების სოციო-ეკონომიკური მაჩვენებლის გავლენა დასაქმებიდან შემოსავლებზე, მით უფრო მაღალია ე.წ. თანაბარი წარმატების შანსი მოცემულ საზოგადოებაში. უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობა ზრდის ადამიანის შემოსავლებს და სოციალური ჩართულობის საშუალებას იძლევა როგორც სამეცნიერო, ასევე პოლიტიკის კვლევებში განიხილავენ განათლების სისტემების უნარს, ხელი შეუწყოს დაბალი სოციო-ეკონომიკური მაჩვენებლების მქონე ოჯახებიდან ახალგაზრდებს დაწინაურდნენ ეკონომიკურად და სოციალურად. საშუალოდ 25-34 ასაკობრივ ჯგუფში დაახლოებით ნახევარს მშობლების მსგავსი განათლება აქვს მიღებული. აქედან 13 %-ს დაწყებითი ან საბაზო, 22 %-ს საშუალო და 15 %-ს უმაღლესი. 37 %-ის განათლება უფრო მაღალია, ვიდრე მშობლების მიერ მიღებული განათლება და 13%-ს არ მიუღწევია მშობლის მიერ მიღწეული განათლების დონისათვის. ეს მაჩვენებლები მნიშვნელოვნად განსხვავდება სხვადასვხა ქვეყნებს შორის. მოცემული მაჩვენებელი ყველაზე მაღალია პოლონეთში ყველაზე დაბალი ესტონეთში, სლოვაკეთში, გერმანიასა და აშ.შ-ში.

სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს დღეს ესაჭიროებათ მულტიდისციპლინური და ინოვაციური უნარების კომბინაცია და კომპეტენციები, უახლოესი საგნობრივ-სპეციფიკური ცოდნით ისე, რომ შეეძლოთ წვლილის შეტანა საზოგადოებისა და დასაქმების ბაზრის გაუმჯობესებაში. ჩვენ მიზნად ვისახავთ დასაქმების გაზრდას და კურსდამთავრებულთა პერსონალურ და პროფესიულ განვითარებას მათი კარიერის განმავლობაში. ამის მიღწევა შესაძლებელია დამსაქმებლებს, სტუდენტებსა და უმაღლეს სასწავლებლებს შორის თანამშრომლობის გაუმჯობესებით, განსაკუთრებით სასწავლო პროგრამების შემუშავებისას, რაც დაეხმარება კურსდამთავრებულებს ინოვაციის, სამეწარმეო და კვლევითი პოტენციალის გაზრდაში. სწავლა მთელი ცხოვრების განმავლობაში წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს ცვალებადი დასაქმების ბაზრისა საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და უმაღლესი სასწავლებლები თამაშობენ ცენტრალურ როლს ცოდნის გადაცემასა და რეგიონული განვითარების განმტკიცებაში.

ჩვენი საზოგადოება საჭიროებს, რომ უმაღლესმა სასწავლებლებმა წვლილი შეიტანონ მდგრად განვითარებაში ინოვაციურად და ამისათვის უმაღლესმა განათლებამ უნდა უზრუნველყოს უფრო მტკიცე კავშირი კვლევებს, სწავლებასა და სწავლას შორის ყველა დონეზე. სასწავლო პროგრამები უნდა ასახავდნენ ცვალებადი კვლევების პრიორიტეტს და აღმოცენებად დისციპლინებს, ხოლო კვლევა უნდა ეყრდნობოდეს სწავლებასა და სწავლას.

თავი II უმაღლესი განათლების დაფინანსება საქართველოში

2.1 უმაღლესი განათლების დაფინანსება და რეგულირება

უნივერსიტეტების ფინანსური ავტონომია ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონი განსაზღვრავს უმაღლესი საგანამანათლებლო დაწესებულების დაფინანსების წყაროებს. ესენია:

ა) სწავლის საფასური, რომელიც იფარება სახელმწიფო სასწავლო გრანტითა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით (მხოლოდ აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე);

ბ) გრანტის, შემოწირულობის ან ანდერძის სახით ან ანდერძით მიღებული შემოსავლები;

გ) საკონკურსო შერჩევის საფუძველზე სახელმწიფოს მიერ გაცემული სამეცნიერო-კვლევითი გრანტები;

დ) დარგობრივი სამინისტროების მიერ გამოყოფილი პროგრამული დაფინანსება;

ე) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა, მათ შორის, ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლები.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ყოველწლიურად ამტკიცებს სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატის ან დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების იმ პროგრამულ მიმართულებებს, რომლებშიც სტუდენტის სწავლის საფასურს სრულად ან ნაწილობრივ აფინანსებს სახელმწიფო.

საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სახელმწიფო სასწავლო გრანტის სრული ან ნაწილობრივი რაოდენობა გაიცემა სტუდენტზე. სახელმწიფო ბაკალავრიატში უმაღლეს განათლებას აფინანსებს 4 წლის, დიპლომირებული სტომატოლოგიის 300-კრედიტიან საგანმანათლებლო პროგრამას არა უმეტეს 5 წლისა, დიპლომირებული მედიკოსის 360-კრედიტიან საგანმანათლებლო პროგრამას არა უმეტეს 6 წლის განმავლობაში.

მაგისტრანტზე სახელმწიფო სასწავლო გრანტი გაიცემა საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული გრანტის ოდენობით. სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით მაგისტრატურაში სწავლა ფინანსდება არა უმეტეს 2 წლის გამნავლობაში. კანონის თანახმად, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის პროგრამების სახელმწიფო დაფინანსება ხორციელდება სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევითი გრანტით, სამინისტროს მიერ განსაზღვრული პრიორიტეტების შესაბამისად, სპეციალური სახელმწიფო პროგრამით. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად კანონის მოთხოვნისა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დღემდე არ არის დამტკიცებული დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების წესი და პირობები.

სამეცნიერო კვლევითი გრანტი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების ერთეულისათვის გაიცემა სხვადასხვა კონკურსის საფუძველზე. სახელწიფო სამეცნიერო-კვლევითი ან სასწავლო გრანტის თანხა არ შეიძლება გამოყენებული იქნეს სხვა საქმიანობის დასაფინანსებლად. მთავრობის წესით დადგენილია ფუნდამენტური კვლევებისათვის საკონკურსოდ წარდგენილი პროექტის მინიმალური (6 თვე) და მაქსიმალური (36 თვე) ხანგრძლივობა. გარდა ამისა, განსაზღვრულია ფონდიდან მოთხოვნილი საგრანტო დაფინანსების მოცულობები. ასევე, დადგენილია ძირითადი პერსონალის ყოველთვიური საგრანტო დაფინანსებისა და დამხმარე პერსონალის ყოველთვიურ ანაზღაურების მაქსიმალური ოდენობა (1250). გამოყენებითი კვლევებისათვის მთავრობის აქტით განსაზღვრულია საკონკურსოდ წარდგენილი პროექტის ხანგრძლივობა (12 ან 24 თვე) გარდა ამისა, დადგენილია ფონდიდან მოთხოვნილი საგრანტო დაფინანსებისა და წლის განმავლობაში ფონდიდან მოთხოვნილი საგრანტო დაფინანსების მაქსიმალური ოდენობები. (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 15 სექტემბრის ნომერ-154 ბრძანება) პროექტს უნდა ჰყავდეს თანადამფინანსებელი, რომლის თანამონაწილეობა პროექტის დაფინანსებაში უნდა გამოიხატოს ფულადი შენატანის სახით. მისი მოცულობა არ უნდა იყოს ფონდიდან მოთხოვნილი თანხის 20%-ზე ნაკლები. განსაზღვრულია პერსონალის ყოველთვიური საგრანტო დაფინანსებისა და დამხმარე პერსონალის ყოველთვიური შრომის ანაზღაურების მაქსიმალური ოდენობა (1250 ლარი). აღნიშულიდან გამომდინარე, არ არსებობს პირდაპირი სახელმწიფო დაფინანსების (ფორმულაზე ფადუძნებული ბლოკ-გრანტები) მექანიზმი, როგორც საგანმანათლებლო პროგრამების, ისე სამეცნიერო ღონისძიებების განსახორციელებლად. უნივერსიტეტები საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად სახელმწიფო დაფინანსების ე.წ. ვაუჩერული მოდელის მიხედვით იღებენ და სახელმწიფოს მიერ დაწესებული ჭერის ფარგლებში ოპერირებენ. მიუხედავად იმისა, რომ არსებული მოდელის მიხედვით მოპოვებული დაფინანსება საშუალოვადიან პერიოდში შემოსავლების მიღების გარკვეულ გარანტიებს ქმნის, უნივერსიტეტების ფინანსური დამოუკიდებლობა მაინც დაბალია, ვიანიდან უნივერსიტეტები კარგავენ შესაბამის დაფინანსებას სტუდენტისათვის

სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის შემთხვევაში, რაც მრავალი სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზით შეიძლება იყოს განპირობებული, ასეთ პირობებში უნივერსიტეტები იძულებული არიან საქმიანობა ,,დათმობის" გრანტის შენარჩუნების რეჟიმში განახორციელონ. შესაბამისად, დაფინანსების ეს მოდელი ვერ უზრუნველყოფს მათ ფინანსურ დამოუკიდებლობას და ეფექტურ ფუნქციონირებას, რაც სახელმწიფო უნივერსიტეტების ავტონომიის მკვეთრ შეზღუდვად უნდა განვიხილოთ. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სახელმწიფო სასწავლო გრანტის სახით მიღებულ შემოსავალს მნიშვნელოვანი წილი უკავია, როგორც სახელმწიფოსგან მიღებულ მთლიან დაფინანსებაში, ისე უნივერსიტეტების მთლიან ბიუჯეტშიც.

ამასთანავე, ყურადსაღებია რისკები, რომლებიც უკავშირდება სახელმწიფო გრანტის მოპოვების მექანიზმს, როგორც გამოცდების ჩატარების მოდელის, ისე სამინისტროს მიერ გამოცხადებულ პრიორიტეტების შემთხვევაში.[7] კერძოდ, ერთიანი ეროვნული გამოცდების მოდელი ეწინააღმდეგება უნივერსიტეტის ავტონომიურობის პრინციპს. გარდა ამისა, მცირდება შედეგებზე უნივერსიტეტების პასუხისმგებლობა. ასევე, რისკის შემცველია დაფინანსების სათანადო ერთიანი წესის შემუშავებისა და მოსალოდნელი შედეგების პროგნოზირების გარეშე კონკრეტული უნივერსიტეტებისთვის კონკრეტულ სპეციალობებზე კონკრეტული რაოდენობის ადგილების სპონტანური გამოყოფა. ასეთ პირობებში კიდევ უფრო მეტად იზღუდება უნივერსიტეტების ავტონომია.

სამეცნიერო კვლევების დაფინანსების არსებული წესი (ცალკეული პროექტების დაფინანსება და გაცემა არა უნივერსიტეტებისათვის, არამედ მისი ძირითადი ერთეულისთვის) არსებითად ზღუდავს უნივერსიტეტის ავტონომიას და ხელს უშლის მის მიერ სტრატეგიული მიზნების ეფექტურ განხორციელებას. ეს განსაკუთრებით საყურადღებოა იმის გათვალისწინებით, რომ სამეცნიერო პროექტების შერჩევის წესი არ ქმნის მათი ობიექტური შეფასებისა და თავისუფალი კონკურენციის პრინციპის რეალიზების გარანტიებს. გარდა ამისა, სამეცნიერო კვლევების საგრანტო დაფინანსებას ახორციელებს მხოლოდ ერთი სსიპ - რუსთაველის ეროვნული

[7] უმაღლესი განათლების და მეცნიერების განვითარება საქართველოში ექსპერტი თამაზ ზაალიშვილი. გვ: 14;

სამეცნიერო ფონდი, მიუხედავად იმისა, რომ კანონი ითვალისწინებს სამეცნიერო კვლევების დაფინანსების შესაძლებლობას სხვა სსიპ- სამეცნიერო ფონდების მეშვეობით საჯარო დაფინანსების ნამატის შენარჩუნება საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ ,,საქართველოს კანონის შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ კანონით დადგენილი წყაროებიდან მიღებული სახსრები და შემოსავლები მთლიანად ხმარდება შესაბამისი კანონითა და წესდებით (დებულებით) განსაზღვრული საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიზნებისა და ფუნქციების განხორციელებას.[8]

აღნიშნულიდან გამომიდინარე, სსიპ უნივერსიტეტები სრულად იყენებენ მათთვის კანონმდებლობით განსაზღვრულ შემოსავლებს. ამ მხრივ, აიპ-ებსა და კერძო უნივერსიტეტებსაც სრული ავტონომია აქვთ.

- **სესხის აღება**

სესხის აღების საკითხს უმაღლესი სასწავლებლების მიერ არეგულირებს ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონი, რომლის შესაბამისად სახელმწიფო ქონების საფუძველზე შექმნილ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოსა და ფინანსთა სამინისტროს თანხმობით შეუძლია სესხის აღება.

კანონმდებლობა სსიპ-ების შემთხვევაში აწესებს შეზღუდვას, კერძოდ, სესხის აღების შემთხვევაში უნივერსიტეტის საჭიროებას აღნიშნულ სამინისტროებთან შეთანხმების. იმავდროულად, კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული რეგულაციები, არ არის დადგენილი არც შემზღუდავი რეგულაციები აიპ-ის, ისე კერძო უნივერსიტეტებისათვის. თუმცა, მარეგულირებელი დებულებები სესხის აღებასთან დაკავშირებით აიპ-ის ფორმით დაფუძნებული უნივერსიტეტების წესდებებში არ მოიძებნება. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ უნივერსიტეტების მიერ სესხის აღების შემთხვევები ძალზედ იშვიათია.[9]

- **უძრავი ქონების საკუთრება და მისი განკარგვა**

---

[8] მეცნიერების ტექნოლოგიების და მათი განვითარების შესახებ ,,საქართველოს კანონი" უმაღლესი განათლების და მეცნიერების განვვითარება საქართველოში ექსპერტი თამაზ ზაალიშვილი. გვ: 15;

[9] უმაღლესი განათლების და მეცნიერების განვვითარება საქართველოში ექსპერტი თამაზ ზაალიშვილი. გვ: 15, კვლევა: უნივერსიტეტების ავტონომია და აკადემიური თავისუფლება

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დაფუძნებისას სახელმწიფო მას საქართველოს კანონმდბლობით დადგენილი წესით აძლევს შესაბამის ქონებას. გადასაცემი ქონების ნუსხა თან ერთვის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დაფუძნების აქტს. გადასაცემი ქონების ნუსხაში მითითება ქონების ჩამონათვალი და დამოუკიდებელია აუდიტის მიერ ქონების მდგომარეობის შეფასების შედეგები ან საბალანსო მონაცემები.

უმაღლესი სასწავლებლისათვის გადაცეემული ქონების გასხვისება ან იჯარით გადაცემა შეიძლება მხოლოდ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს თანხმობით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული აიპ-ის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ქონების სამართავად შეიძლება შეიქმნას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარების ფონდი, რომელსაც გადაეცემა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ქონებისა და ფინანსების ნაწილი.

აქედან გამომდინარე, კერძო და სახელმწიფო დაწესებულების შემთხვევაში კანონით დაწესებულია შეზღუდვა - ქონების გაყიდვა შესაძლებელია მხოლოდ ზემდგომი მმართველობის ზედამხედველობის ორგანოსთან შეთანხმებით. ევროპული გამოცდილებისა და პრაქტიკის გათვალისწინებით, ამ სახის რეგულაცია არ უნდა განვიხილოთ არსებით შეზღუდვად, კერძო უნივერსიტეტების შემთხვევაში ამგვარი შეზღუდვა არ არსებობს.

- **სტუდენტების სწავლის საფასური**

სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის ღირებულებას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრავს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. ამასთანავე, სახელმწიფო სასწავლო გრანტის წლიურ ოდენობას, რომელიც სრულად ფარავს სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატის, დიპლომირებული

მედიკოსის, სტომატოლოგის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებითა და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამით სწავლების ღირებულებას, განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა. საქართველოს მთავრობამ შეიძლება ასევე განსაზღვროს წლიური სახელმწიფო სასწავლო გრანტის ნაწილობრივი ოდენობები, რომლებიც ნაწილობრივ ფარავს სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატის ან დიპლომირებული მედიკოსის, სტომატოლოგის, აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამებით სწავლის ღირებულებას.

სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით მაგისტრატურის აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამებით სწავლა. ერთიან სამაგისტრო საგამოცდო ქსელში გაერთიანებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკრედიტებულ საგანმანათელბლო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტის სწავლის საფასურს, რომელიც დადგენილია ამ დაწესებულების მიერ, სახელმწიფო ფარავს მხოლოდ სასწავლო სამაგისტრო გრანტის ფარგლებში.

სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო მაგისტრატურის გრანტის მიღების უფლება აქვს საქართველოს მოქალაქეს ან რეზიდენტს, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩაირიცხა დაწესებულებაში. უცხო ქვეყნის მოქალაქეზე სახხელმწიფო სასწავლო გრანტი და სახელმწიფო სასწავლო გრანტი გაიცემა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.[10]

სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ უნივერსიტეტებს, ფაქტობრივად, არ აქვთ სწავლის საფასურის დამოუკიდებლად განსაზღვრის უფლებამოსილება ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის, სტომატოლოგის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებით და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების სფეროში. ისინი დადგენილი წესის შესაბამისად ითვალისწინებენ ამ პროგრამებისთვის სახელმწიფოს მიერ ყოველ სასწავლო წელს განსაზღვრულ ოდენობებს. უნივერსიტეტის მიერ დოქტორანტურაში,

[10] უმაღლესი განათლების და მეცნიერების განვვითარება საქართველოში ექსპერტი თამაზ ზაალიშვილი.

ისევე როგორც მაგისტრატურაში, სწავლის საფასური, ძირითადად, განისაზღვრება ბაკალავრიატში სახელმწიფო სასწავლო გრანტის მაქსიმალური ოდენობიით. ყოველივე აღნიშნული მნიშვნელოვნად ზღუდავს უნივერსიტეტების ავტონომიას სწავლის საფასურის განსაზღვრის სფეროში. უნივერსიტეტებს აქვთ უფლება, სწავლის საფასური დამოუკიდებლად განსაზღვრონ უცხო ყვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირთათვის. გარდა ამისა, ცალკეულ სამაგისტრო სადოქტორო პროგრამებზე შეიძლება დაწესდეს სწავლების განსხვავებული საფასური, მაგრამ არანაკლებ ბაკალავრიატისთვის დადგენილი ოდენობისა.

ხოლო უნივერსიტეტები თვითონ განსაზღვრავენ სწავლის საფასურს ყველა საგანმანათლებლო პროგრამისთვის, სხვაობას ამ საფასურსა და მიღებულ სახელმწიფო გრანტს შორის ფარავს სტუდენტი. კერძო უნივერსიტეტების შემოსავლების წყაროს სტუდენტის სასწავლო გრანტიც წარმოადგენს.

სახელმწიფო უნივერსიტეტებისა და კერძო უნივერსიტეტების ვაუჩერული დაფინანსება იმ პირობებში, როცა, სახელმწიფო უნივერსიტეტებს, ფაქტობრივად, შეზღუდული აქვთ სწავლის საფასურის დაწესების საშუალება, უნივერსიტეტების ავტონომიის შეზღუდვასთან ერთად უმაღლესი განათლების სფეროში თავისუფალი კონკურენციისა და, შესაბამისად, უნივერსიტეტების ეფექტური საქმიანობის მნიშვნელოვან შემაფერხებელ ფაქტორად გვევლინება. სწავლის საფასურის განსაზღვრისა და სახელმწიფო დაფინანსების მოქმედი მოდელი ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ფონზე ქმნის არსებით პრობლემებს სტუდენტების სწავლის შეჩერებისა და უნივერსიტეტების არასტაბილური საფინანსო მდგომარეობის თვალსაზრისით, რასაც თან სდევს სწავლების ხარისხის გაუარესება. ეს ხელს უშლის, ასევე, უნივერსიტეტების შედეგებზე ორიენტირებული სტრატეგიული მენეჯმენტის განხორციელებას. [11]

სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის დაფინანსების წლიურ მოცულობას ანაწილებს თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებასა და პრიორიტეტულ საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებას შორის

[11] უმაღლესი განათლების და მეცნიერების განვვითარება საქართველოში ექსპერტი თამაზ ზაალიშვილი. გვ: 17

პრიორიტეტულ საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებაზე სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის პროგრამული მაჩვენებლის განაწილებით.[12]

2.2 დაფინანსების მოცულობა და დინამიკა

- **სახელმწიფო დაფინანსების მოცულობა**

უმაღლესი განათლებისა და კვლევის დაფინანსება სახელმწიფო პრიორიტეტს წარმოადგენს განვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში. უკანასკნელი წლების განმავლობაში უმაღლეს განათლებაში ჩართულობის ზრდის პარალელურად გაიზარდა სახელმწიფო დაფინანსებაც. მიუხედავად მსოფლიო ეკონომიკური კრიზისისა, დაფინანსების ზრდის ტენდენცია შეინიშნება განვითარებულ ქვეყნებში ბოლო წლების განმავლობაშიც, ქვემოთ მოცემულ ცხრილში ასახულია მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში უმაღლეს განათლებასა და კვლევაზე გაწეული დანახარჯების წილი სახელმწიფო ბიუჯეტსა და მთლიან შიდა პროდუქტში (მშპ) 2010 წლის მონაცემებით უმაღლეს განათლებასა და კვლევაზე განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან საშუალოდ მშპ-ს 1.4% და მთლიანი საბიუჯეტო თანხების 3.1% იხარჯება (OECD, 2009). ვფიქრობთ, რომ საშუალოვადიან პერსპექტივაში უმაღლესი განათლებისა და კვლევის დაფინანსებაზე მშპ-ს მინიმუმ 1.2%-ის და საბიუჯეტო თანხების 3% უნდა გამოიყოს.

ცხრილი 1. სახელმწიფო დაფინანსება უმაღლეს განათლებასა და უსდ-ში განხორციელებულ კვლევაზე.

ქვეყნები	სახელმწიფო ბიუჯეტის %	მშპ-ს %
ჩილე	3.9	0.9
ჩეხეთის რესპუბლიკა	2.2	1.0

[12] კანონი უმაღლესი განათლების შესახებ

დანია	4.2	2.4
ესტონეთი	3.0	1.2
ფინეთი	3.9	2.2
საფრანგეთი	2.3	1.3
კორეა	2.6	0.8
ნიდერლანდები	3.3	1.7
პოლონეთი	2.6	1.2
სლოვაკეთი	2.1	0.8
სლოვენია	2.7	1.4
ესპანეთი	2.5	1.2
შვედეთი	3.9	2.0
გაერთიანებული სამეფო	2.0	1.0
შეერთებული შტატები	3.3	1.4
რუსეთი	2.5	1.0
ევროკავშირის საშუალო	2.7	1.4
საქართველო	1.8	0.5

უმაღლესი განათლება ქვეყანაში ნაკლებად არის ხელმისაწვდომი ძირითად მაშინ, როდესაც დაფინანსებაში მცირეა სახელმწიფოს წილი. როგორც წესი უმაღლესი განათლების ძირითად წყაროს (70%-ზე მეტს) სახელმწიფო დაფინანსება წარმოადგენს, ევროკავშირის ქვეყნებში სახელმწიფოს მიერ გაწეული ხარჯები 80%-ს უახლოვდება. ქვეყნებში ასევე მზარდია სხვა კერძო დაფინანსების წყაროების (მაგ: კერძო ბიზნესები, , რელიგიური და საქველმოქმედო ორგანიზაციები, და ბიზნესისა და შრომის ასოციაციები) წილიც, რაც თავის მხრივ ასევე ამცირებს შინამეურნეობათა მიერ გადახდილ თანხებს. უმთავრესი პრინციპი კი არის ის, რომ განათლება

ხელმისაწვდომი იყოს სტუდენტისათვის მისი ეკონომიკური შესაძლებლობის მიუხედავად, სწორედ ამიტომ, უმაღლესი განათლებისა და კვლევის დაფინანსება განვითარებული ქვეყნებისათვის, როგორც წესი საბიუჯეტო პრიორიტეტს წარმოადგენს.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია ევროპის თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის OECD-ის რამდენიმე ქვეყანაში უმაღლესი განათლების დაფინანსების წყაროების გადანაწილება 2014 წლისათვის:

ცხრილი 2 . უმაღლესი განათლების დაფინანსების წყაროების გადანაწილება:

ქვეყანა	საჯარო დაფინანსება	კერძო დაფინანსება	შინამეურნეობების დანახარჯი	სხვა კერძო დანახარჯი
არგენტინა	86.0	14.0	14.0	0
ავსტრია	94.4	5.6	2.9	2.6
ბელგია	87.9	12.1	6.2	5.9
ჩეხეთი	76.2	23.8	9.7	14.1
დანია	94.7	5.3	0.0	5.3
ესტონეთი	84.6	15.4	8.4	7.1
ფინეთი	96.5	3.5	0.0	3.5
საფრანგეთი	78.6	21.4	11.7	9.6
გერმანია	85.8	14.2	—	—
სლოვენია	85.8	14.2	11.8	2.4
ნორვეგია	96.3	3.7	3.5	0.2

2013 წლისათვის განათლების დაფინანსების წყაროების პროცენტული მაჩვენებელი საგრძნობლად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან, კერძოდ, 36% იყო საჯარო დაფინანსება, ხოლო 64%-ს წარმოადგენდა ინდივიდების/შინამეურნეობების

მიერ გაწეული ხარჯები. 2013 წლის მონაცემებით OECD-ს განათლების საშუალო მონაცემი იყო 68.4%, ხოლო ევროკავშირისა – 77.3%, რომელსაც, მიუხედავად სახელმწიფოს განათლების სისტემის დაფინანსებებისა სხვადასხვა დაწესებულებებიდან, საქართველოს მიერ უმაღლესი განათლების დაფინანსების მაჩვენებელი ბევრად ჩამორჩება. დღესდღეობით, საქართველოში არსებულ 75-მდე ავტორიზებულ საჯარო და კერძო უმაღლეს დაწესებულებებში 140 000-მდე სტუდენტი სწავლობს. უმაღლესი განათლების ბიუჯეტში, სახელმწიფო სასწავლო და სამაგისტრო გრანტების სახით, 2017 წელს გათვალისწინებული იყო 110,074 მლნ ლარი, ხოლო თითოეულ სტუდენტზე სწავლის სახელმწიფოს მიერ დაწესებული წლიური გადასახადი შეადგენს 2250 ლარს. სწავლის საფასურის ამ განაკვეთით, ყველა სტუდენტის უმაღლესი განათლების დაფინანსებისათვის სახელმწიფოს, პირობითად დასჭირდებოდა 315 მლნ ლარი, თუმცა, სტუდენტთა სასწავლო გრანტისთვის გათვალისწინებული 110,074 ლარით, სახელმწიფო მთლიანობაში (სტუდენტთა მიერ მიღებული გრანტის პროცენტულობის პროპორციულად) აფინანსებს 48920 სტუდენტის სრული გადასახადის ოდენობას. ეს სტუდენტთა მთლიანი რაოდენობის 35%-ია. რაც იმას ნიშნავს, რომ უმაღლესი განათლების ხარჯების მხოლოდ 35%-ს აფინანსებს სახელმწიფო, ხოლო უმაღლესი განათლების ხარჯების დანარჩენი 65% (91 080 სტუდენტის წლიური სასწავლო თანხა) შეადგენს სტუდენტებისა და მათი ოჯახების მიერ გადახდილ ხარჯებს. აქვე, კვლევის გარეშეც შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ სტუდენტთა იმ 65%-ს შორის, რომლებიც უმაღლეს განათლებას საკუთარი ხარჯებით იღებენ უმრავლესობა არ წარმოადგენს ეკონომიკურად ძლიერ სტუდენტს, 45 000 სტატუს-შეჩერებული სტუდენტიდან, რომელთა შორისაც სავარაუდოდ გრანტიანი სტუდენტებიც მოიაზრებიან, 15 000, ანუ სტუდენტთა მთლიანი რაოდენობის 10% ფინანსურ პრობლემებს ასახელებს. სასწავლო პროცესის შეჩერების მიზეზად. ეს ყველაფერი კი მიგვანიშნებს იმაზე, რომ უმაღლესი განათლების საყოველთაო ხელმისაწვდომობის საკითხი საქართველოში ძალზედ პრობლემურია საზოგადოების საკმაოდ დიდი ნაწილისათვის.

ამიტომაც, მნიშვნელოვანია, რომ უმაღლესი განათლების დაფინანსების სახელმწიფოს მიერ წარმოებული სტატისტიკა და ფაქტები, რომლებიც გვეუბნებიან,

“რომ 2013 წლიდან სახელმწიფო დანახარჯი უმაღლეს განათლებაზე გაორმაგდა და 2017 წელს 137 მლნ ლარს შეადგენს,…რომ 2013 წლიდან 3-ჯერ გაიზარდა სოციალური პროგრამები სტუდენტების სწავლის დაფინანსების მიზნით და 2017 წელს შეადგინა 4.5 მლნ ლარი…რომ 2.5-ჯერ გაიზარდა სახელმწიფო სტიპენდიების პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს მაღალი აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტების მხარდაჭერას და შეადგინა 4.1 მლნ ლარი არა მხოლოდ ციფრების ზრდიაა, არამედ, წარმოვადგინოთ ისეთი სახით, რომელიც მოგვცემს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა როლს ასრულებს ეს ციფრები და რამდენად გაზარდა ან შეამცირდა მათ უმაღლეს განათლების გაწეული ხარჯები, განსაკუთრებით კი სოციალურად დაუცველი ფენისათვის. რამდენად გაზარდა განათლების საყოველთაო ხელმისაწვდომობა. ეს სტატისტიკა ორიენტირებული უნდა იყოს კიდევ უფროო მეტად განთვითარებაზე, სწავლის საფასურის შემცირებასა და დაფინანსების გაზრდაზე. სტუდენტთა უმრავლესობას საქართველოში უმაღლესი განათლების მიღებისათვის თვითონ უწევს ზრუნვა, ხოლო სახელმწიფო ინვესტიცია უმაღლეს განათლებაში ძალიან მცირე რაოდენობისაა.

ჩვენს ქვეყანაში უმაღლესი განათლების სახელმწიფო ინვესტიცია და დაფინანსება, რომ დაბალია, ამაზე მოწმობს ისიც, რომ ბოლო წლების განმავლობაში არ იზრდება უმაღლეს განათლებაზე გაწეული სახელმწიფო ხარჯები მშპ-სთან მიმართებაში: თუ ის 2017 წელს შეადგენდა 137 მლნ ლარს, რაც ქვეყნის მშპ-ს 0.36%-ს შეადგენს. ხოლო უმაღლეს განათლებასა და კვლევებზე ერთიანად, 2017 წლისათვის დაგეგმილი იყო 190 მლნ ლარი, რაც ქვეყნის მშპ-ს 0.5%-ს, ხოლო ბიუჯეტის ხარჯების 1.62%-ია. შედარებისთვის, 2012 წელს, უმაღლეს განათლებასა და კვლევაში გაწეული სახელმწიფო დანახარჯი მშპ-ს ასევე 0.5%-ს, ხოლო ბიუჯეტის 1.8%-ს შეადგენდა, რაც იმას ნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო დანახარჯები 2013 წლიდან რაოდენობრივად ორმაგად გაიზარდა, მთლიან შიდა პროდუქტში მისი წილი იგივე დარჩა, ხოლო მთლიან ბიუჯეტთან მიმართებაში დაიკლო კიდეც. ამდენად, უმაღლესი განათლებისა და კვლევის დაფინანსების მხრივ, თითქმის ბოლო ათწლეულის განმავლობაში ნაბიჯი უკეთესობისაკენ თითქმის არ გვაქვს. ხოლო უმაღლესი განათლება ქვეყნისთვის პრიორიტეტს ჯერ-ჯერობით ნაკლებად წარმოადგენს.

უმაღლესი განათლების დაფინანსების პრობლემის აღმოფხვრა არ შეიძლება მდგომარეობდეს სტუდენტური სესხების მასიურ განვითარებაში, რადგანაც იგი ნეგატიურ მდგომარეობაში აყენებს სტუდენტს და აიძულებს მისი სწავლისშემდგომი მთავარი საზრუნავი ხარჯების ამოღება და დაფარვა გახდეს – რაც ყოვლად შეუსაბამოა უმაღლესი განათლების, როგორც საზოგადოებრივი განვითარების უმთავრეს მიზნებსა და ფუნქციებთან. უმაღლესი განათლების პრობლემის აღმოფხვრისათვის ამოსავალი წერტილი მდგომარეობს იმაში, რომ იგი უნდა იყოს ყველასათვის ხელმისაწვდომი, ხარისხიანი და ცოდნის მიღებაზე ორიენტირებული.

სახელმწიფო ბიუჯეტის დანახარჯების განხილვა ცალკე შეუძლებელია უმაღლეს განათლებაზე კერძო დანახარჯების განხილვის გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ ევროპული ქვეყნების უმრავლესობის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტების თანახმად წახალისებულ უნდა იქნას უმაღლესი განათლების კერძო წყაროებიდან დაფინანსება, ამ ქვეყნებში უმაღლესი განათლების დაფინანსების ხარჯების უდიდესი წილი მაინც სახელმწიფო ბიუჯეტზე მოდის. ჩვეულებრივ ევროკავშირის ქვეყნებში მთლიანად უმაღლეს განათლებაზე გაღებული ხარჯების 79.9% სახელმწიფო ბიუჯეტიდან მოდის. სკანდინავიურ ქვეყნებში კი რიცხვი 90%-ს აღემატება. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ქვეყნების უმრავლესობა, სადაც ეს მაჩვენებელი 70%-ზე დაბალია, ყოფილი კომუნისტური წყობილების ქვეყნებია (პოლონეთი, ლიტვა, ბულგარეთი, ლატვია და კვიპროსი). თუმცა, ევროკავშირის არცერთ ქვეყანაში ეს მაჩვენებელი 55%-ზე დაბალი არ არის. რაც შეეხება სხვა განვითარებულ ქვეყნებს, ზოგიერთ ქვეყნაში ეს მაჩვენებელი ბევრად უფრო დაბალია, ვიდრე ევროპულ ქვეყნებში და დანახარჯების დაახლოებით მესამედს, ან მეოთხედს შეადგენს (გაერთიანებული სამეფო, შეერთებული შტატები, კორეა).

- სახელმწიფო დანახარჯების წილის დინამიკა განვითარებულ ქვეყნებში

განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფო დანახარჯების წილის საშუალო მაჩვენებელი 10%-ით შემცირდა ბოლო 20 წლის განმავლობაში – თუ 1995 წელს ეს წილი საშუალოდ 78% იყო, 2010 წელს იგი 68%-მდე შემცირდა. განსაკუთრებით მკვეთრი შემცირება დაფიქსირდა გაერთიანებულ სამეფოში (80%-დან 25%-მდე). სახელმწიფო განსსაკუთრებით დანახარჯების კლების ტენდენცია თვალსაჩინოა

არაევროპულ ქვეყნებში, სადაც სწავლების გადასახადი მაღალია. შესაბამისად უმაღლესი განათლების საფეხურზე ჩართულობის ზრდა იწვევს კერძო დანახარჯების არაპროპორციულ ზრდას. სხვა დანარჩენ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი სტაბილურია, ან უმნიშვნელოდ იცვლება.

ვფიქრობთ, რომ საქართველოში არსებული მოდელის დამოსახლეობის რაოდენობის, სოციალური ფონისა და განათლების, როგორც ეროვნული პრიორიტეტის აღიარების გათვალისწინებით, უმაღლესი განათლების და საუნივერსიტეტო კვლევის მთლიანი დაფინანსების მინიმუმ 50% უნდა მოდიოდეს სახელმწიფო ბიუჯეტზე.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ღრმა და ხანგრძლივი ეკონომიკური ვარდნა, უარყოფითად აისახა განათლებისა და მეცნიერების დარგებზეც. 90-იან წლებში ისედაც მწირ დაფინანსებაზე და გაუქმების ზღვარზე მყოფ სამეცნიერო ინსტიტუტებს, 2003-2012 წლებში დაემატა რადიკალური რეფორმები. მეტიც, ამ პერიოდში სამეცნიერო ინსტიტუტების უმრავლესობას მნიშვნელოვნად შეუმცირდათ დაფინანსება. მათი ნაწილი კი საერთოდ გააუქმეს ან ოპტიმიზაციის საბაბით შეურთეს სხვა სამეცნიერო დაწესებულებებს, მათ შორის უნივერსიტეტებს. 2005 წლიდან მოყოლებული მეცნიერებათა აკადემია დაშალეს 70 ინსტიტუტამდე, რომლებიც ჯერ განათლების სამინისტროს დაუქვემდებარეს შემდგომში კი უნივერსიტეტების შემადგენლობაში შეიყვანეს.

ქართული სამეცნიერო სფერო აღმოჩნდა ეგზისტენციალური პრობლემის წინაშე, თუ ამ პროცესის საერთო დინამიკას განვიხილა რომელიც განპირობებული იყო ერთი მხრივ დაფინანსების შემცირებით, მეორე მხრივ კი - მუდმივი სტრუქტურული ცვლილებებით, რომელთაც საფუძვლად ედო ოპტიმიზაციის არგუმენტი. საბიუჯეტო განაწილების კუთხით, სამწუხაროდ, განათლების სფერო დღემდე რჩება ნაკლებ პრიორიტეტულ მიმართულებად საქართველოში. განათლებაზე გაწეული ხარჯები ჩამოუვარდება სხვა პრიორიტეტული დარგების მაჩვენებლებს. ქვემოთ მოცემულია რამდენიმე ცხრილი, კვლევიდან „უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება საქართველოში“, რომელშიც ნათლად არის

გაანალიზებული მეცნიერების განვითარებასთან დაკავშირებული ფინანსური პრობლემები.[13]

ცხრილი 3. უმაღლესი განათლებისა და კვლევის სახელმწიფო დაფინანსების დინამიკა

	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013
მშპ	11621000	13789900	16998600	19736700	17986000	20743400	24344000	26167300	27009200
უმაღლესი განათლების დაფინასება	21702,7	33510	39690,1	47154,7	62967,6	617331,9	60880,9	88332,9	81100
კვლევის დაფინანსება	20117,7	17361,2	22136,4	31495	27790,9	28,428,9	20,442,30	27793	35732
ჯამური	41820,4	50871,2	61826,5	78649,7	90757,8	90160,8	81323,2	116125,9	116832

შედარებით მოდელს თუ გამოვიყენებთ, ცალსხაა რომ საქართველო უმაღლეს განათლებასა და კვლევაზე მნიშვნელოვნად ნაკლებს ხარჯავს ვიდრე განვითარებული ქვეყნები

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საქართველოში უმაღლესი განათლებისა და კვლევის ინფრასტრუქტურა მოშლილია, სამეცნიერო ინსტიტუტებში ცოდნა მოძველებულია და ფაქტიურად თავიდან არის შესაქმნელი ცოდნის კორპუსი და ამ ცოდნის მაგენერირებელი ინსტიტუტები, ასეთი მცირე დანახარჯები მუდმივ ჩამორჩენილობას უქადის ამ სფეროებს, რაც ასევე ეჭვის ქვეშ აყენებს ქვეყნის განვითარების პერსპექტივებს.

[13] „საქართველოს ინდუსტრიული პოლიტიკის გამოწვევები“, სტატია, ხელმისაწვდომი: 05.07.2017, http://old.1tv.ge/projects/analytics/?page=detail&id=166261

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შექმნილ დოკუმენტში, რომელშიც გაწერილია განათლებისა და მეცნიერების განვითარების სტრატეგიული მიმართულებები, გამოკვეთილია ის ძირითადი პრობლემები საქართველოში, რომლებიც დღესდღეობით არსებობს მეცნიერების განვითარების კუთხით.

მეცნიერების დაფინანსების არსებული მოდელის პრობლემატურობა გამიხატება იმაში, რომ ვერ უზრუნველყოფს გრძელვადიანი კვლევითი კლასტერების შექმნას და მდგრად ინსტიტუციურ განვითარებას. დღეს არსებული სამეცნიერო ინსტიტუტებისთვის უმთავრეს დაფინანსების წყაროს წარმოადგენს კვლევითი გრანტები, რომელსაც გასცემს სახელმწიფო მასზე დაქვემდებარებული კვლევითი-სამეცნიერო ფონდის საშუალებით.

- მეცნიერების დინამიკურ განვითარებას და ცოდნის გადაცემას ხელს უშლის ახალი კადრების ნაკლებობა მეცნიერებაში
- სამეცნიერო პროდუქტებისა და ინოვაციების გამოყენების დაბალი დონე.
- ეროვნული სამეცნიერო პოტენციალის ინტეგრაციის დაბალი დონე საერთაშორისო სამეცნიერო წრეებში.

სამეცნიერო ინსტიტუტებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ერთმანეთში ინტეგრაციის დაბალი დონე. კვლევისა და განვითარების ხელშეწყობის მხრივ, გლობალურ ინდექსში საქართველო მნიშვნელოვნად ჩამორჩება არამხოლოდ განვითარებულ ქვეყნებს, არამედ მის მსგავსი მასშტაბების ეკონომიკების მქონე სახელმწიფოებს პოსტ-საბჭოთა სივრცეში. გლობალური ინოვაციების ინდექსის (Global Innovation Index) მონაცემები კვლევისა და განვითარების კუთხით ქვემოთ დიაგრამაზე მოცემულია ამ მაჩვენებელს განსაზღვრავს სამი დამოუკიდებელი ცვლადი: მკვლევარები, მთლიანი დანახარჯი კვლევასა და განვითარებაზე და უნივერსიტეტის რანჟირება (სამი საუკეთესო უნივერსიტეტის). როგორც დიაგრამიდან ჩანს, ჩვენი ქვეყანა მნიშვნელოვნად ჩამორჩება ესტონეთის მაჩვენებლებს. ამ მხრივ საქართველო ნაკლებადაა ჩართული სამხრეთ კავკასიის რეგიონში. საგულისხმოა

ისიც, რომ იგივე ინდექსის მიხედვით, მშპ-ში განათლებაზე გაწეული ხარჯით 129 ადგილს იკავებს საქართველო[14]

შეგვიძლია დავასკვნათ ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემებიდან გამომდინარე, რომ კვლევისა და განვითარების კუთხით არსებული ვითარება საქართველოში ვერ უზრუნველყოფს ახალი ინდუსტრიული დარგებისა და უკვე არსებული სექტორების განვითარებას. საჭიროა შეიქმნას მეცნიერებისა და უმაღლესი განათლების სისტემის განვითარების ახალი პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი საბიუჯეტო რესურსებით. მნიშვნელოვნად უნდა შეიცვალოს მეცნიერების და განათლების დაფინანსების მოდელები. უნდა შენარჩუნდეს საგრანტო სისტემა, თუმცა უნდა შემუშავდეს და დაიხვეწოს პირდაპირი დაფინანსების მოდელები.

ამასთა ნერთად, მეცნიერების და უმაღლესი განათლების დაფინანსების წილი მშპ-სა და ბიუჯეტში სულ მცირე უნდა გაუთანაბრდეს განვითარებული ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს. აგრეთვე, საჭიროა, სამეცნიერო სფეროდან ამოზრდილი ინოვაციების შესაბამისი გადადინების ხელშეწყობის სტრატეგიის შექმნა, რაც მისცემს საშუალებას ადგილობრივ მწარმოებლებსა და სამეცნიერო ინსტიტუტებს მიიღონ სარგებელი თანამშრომლობით და ჰქონდეთ წვდომა დამატებით რესურსებზე განვითარებისთვის.[15]

---

[14] „საქართველოს ინდუსტრიული პოლიტიკის გამოწვევები“, სტატია, ხელმისაწვდომი: 05.07.2019, http://old.1tv.ge/projects/analytics/?page=detail&id=166261

[15] „საქართველოს ინდუსტრიული პოლიტიკის გამოწვევების“, სტატია, ხელმისაწვდომი: 05.07.2019, http://old.1tv.ge/projects/analytics/?page=detail&id=166261

თავი III საქართველოს უმაღლესი განათლების დაფინანსების პრობლემები და პერსპექტივები

აკადემიური თავისუფლება და უნივერსიტეტების ავტონომია ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის ლისაბონის 2007 წლის დეკლარაცია განსაზღვრავს ავტონომიის ოთხ ძირითად განზომილებას:

1. ორგანიზაციულ ავტონომიას;
2. ფინანსურ ავტონომიას;
3. კადრებით უზრუნველყოფის ავტონომიას;
4. აკადემიურ ავტონომიას.

ამიტომ მიზანშეწონილია საქართველოს უნივერსიტეტების ავტონომიის შედარებითი ანალიზი განხორციელდეს და სტრატეგიული (გრძელვადიანი და საშუალოვადიანი/მოკლევადიანი) მიზნები და ამოცანები განისაზღვროს აღნიშნულ ოთხ ჭრილში. ორგანიზაციული ავტონომიის სფეროში უნივერსიტეტებს კანონმდებლობის შესაბამისად მაღალი ავტონომია აქვთ როგორც რექტორის არჩევის (რაც აკადემიური თავისუფლების ერთ-ერთ არსებით გარანტიადაც განიხილება), მისი შერჩევის კრიტერიუმების, საქმიანობის ვადისა და გათავისუფლების თვალსაზრისით, ასევე, აკადემიური სტრუქტურების განსაზღვრის უფლებამოსილების მხრივ.

უნივერსიტეტებს, შეზღუდვების გარეშე შეუძლიათ როგორც სამეწარმეო, ისე არასამეწარმეო იურიდიული პირების შექმნა. გამონაკლისს წარმოადგენენ მხოლოდ სსიპ-ის ფორმით დაფუძნებული უნივერსიტეტები. უნივერსიტეტების ორგანიზაციული ავტონომიის სუსტ მხარედ გვევლინება უნივერსიტეტების შეზღუდული ავტონომია მართვის ორგანოებში (აკადემიურ საბჭოში) გარე წევრების ჩართვის თვალსაზრისით. რეალურად, რექტორის არჩევის სფეროში უნივერსიტეტების მაღალი ავტონომია ვერ უზრუნველყოფს უნივერსიტეტების ეფექტურ თვითმმართველობას და, ფაქტობრივად, რექტორის არჩევის პროცედურა, უმეტეს შემთხვევაში, არის რექტორის დანიშვნის პროცედურა. უნივერსიტეტების დამოუკიდებლობა აკადემიური სტრუქტურების შექმნის სფეროში, სუსტი სტრატეგიული დაგეგმვისა და არასრულყოფილი ანგარიშვალდებულების სისტემის პირობებში ვიწრო პოლიტიკური და კერძო ინტერესების ინსტრუმენტად გვევლინება. რეალურად, დუალური მართვის სისტემის ფუნქციონირებაც ფორმალურია და უნივერსიტეტები ფუნქციონირებენ ავტორიტარული მართვის პირობებშიც. უნივერსიტეტებს ფინანსური ავტონომიის სფეროში (მიუხედავად ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა) მაღალი ავტონომია აქვთ, მხოლოდ საჯარო დაფინანსების ნამატის შენარჩუნებისა და სესხის აღების (გარდა სსიპ-ებისა) უფლებამოსილების თვალსაზრისით. არსებითადაა შეზღუდული სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უნივერსიტეტების მიერ სწავლის საფასურის დამოუკიდებლად განსაზღვრის შესაძლებლობა, ხოლო კერძო უნივერსიტეტების უფლებები ამ მხრივ შეუზღუდავია. სახელმწიფო დაფინანსების არსებული წესი და სწავლის საფასურის განსაზღვრა ვერ უზრუნველყოფს უნივერსიტეტების შედეგებზე ორიენტირებულ ფუნქციონირებას. უძრავ ქონებასთან დაკავშირებული კანონმდებლობით გათვალისწინებული დებულებებიც ზღუდავს (შეთანხმების საჭიროება სამინისტროებთან) უნივერსიტეტებს, თუმცა, მაღალი ფინანსური 7 ავტონომიის მქონე ევროპის უნივერსიტეტების მახასიათებლების გათვალისწინებით ამ სახის რეგულაცია არ განიხილება არსებით შეზღუდვად. საყურადღებოა ის რისკები, რომლებიც უკავშირდება სახელმწიფო გრანტის მოპოვების მექანიზმს. ერთიანი ეროვნული გამოცდების მოდელი (უნივერსიტეტს არ შეუძლია სტუდენტების დამოუკიდებლად შერჩევა და პროცესი მთლიანად გატანილია

უნივერსიტეტის ფარგლებს გარეთ) ეწინააღმდეგება უნივერსიტეტების ავტონომიურობის პრინციპს, ასევე, რისკის შემცველია სახელმწიფოს მიერ უნივერსიტეტებში განსაზღვრული სპეციალობების დაფინანსება ერთიანი წესის შემუშავებისა და მოსალოდნელი შედეგების პროგნოზირების გარეშე. უნივერსიტეტებისა და კერძო უნივერსიტეტების ვაუჩერული დაფინანსების მოქმედი მოდელი უნივერსიტეტების ავტონომიის შეზღუდვასთან ერთად უმაღლესი განათლების სფეროში თავისუფალი კონკურენციის შემაფერხებელ ფაქტორადაც გვევლინება სახელმწიფო. პერსონალით უზრუნველყოფის სფეროში უნივერსიტეტებს მაღალი ავტონომია აქვთ როგორც აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის შერჩევის, გათავისუფლებისა და დაწინაურების, ისე ხელფასების განსაზღვრის (გარდა სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრაციული თანამდებობებისთვის კანონით დადგენილი განაკვეთებისა) თვალსაზრისით. თუმცა, უნივერსიტეტების შესაბამისი ფართო უფლებები, რიგ შემთხვევებში, არაეფექტური და არასამართლიანია. ამ პროცესს ხელს უწყობს უნივერსიტეტების მიერ შემუშავებული აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსის დებულებები, რომლებიც ვერ ქმნიან კანონით განსაზღვრული მოთხოვნების რეალიზების გარანტიებს. კერძოდ, კანონის მოთხოვნა ასეთია: „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს ... თანასწორ მოპყრობას განურჩევლად სქესისა, სოციალური წარმოშობისა, პოლიტიკური თუ რელიგიური შეხედულებებისა, პირის ეთნიკური კუთვნილებისა და სხვ. ... უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არჩევნების სამართლიანობასა და გამჭვირვალობას, კონკურსების საჯაროობას.“ ყოველივე ეს არსებით უარყოფით გავლენას ახდენს საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხზე და, საბოლოოდ, მნიშვნელოვნად ამცირებს ხარისხიანი განათლების მიღების უფლების გარანტიებს. აკადემიური ავტონომიის სფეროში უნივერსიტეტებს (როგორც სახელმწიფოს, ისე კერძოს) არსებითად შეზღუდული აქვთ დამოუკიდებლობა სწავლების ენის, სტუდენტთა რაოდენობის, აბიტურიენტებისადმი (ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგიის პროგრამებზე) წაყენებული კრიტერიუმებისა და ამ კრიტერიუმების შეფასების წესის განსაზღვრაში. გარდა ამისა, მათ არ აქვთ

აბიტურიენტთა შეფასების (გამოცდების ჩატარების) პროცედურის განხორციელების უფლებამოსილებაც. ყოველივე ეს ეწინააღმდეგება ავტონომიურობის პრინციპს და მრავალ რისკს ქმნის, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია სისტემის შედეგებზე ორიენტირებული განვითარების ინტერესებიდან გამომდინარე. უნივერსიტეტების ავტორიზაცია/აკრედიტაციის მოქმედი მექანიზმი არა ხარისხის უზრუნველყოფის, არამედ უფრო უნივერსიტეტების საქმიანობაზე სახელმწიფო გავლენის განხორციელების მექანიზმია. ასეთ პირობებში განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მოქმედი კანონმდებლობა არ აძლევს უნივერსიტეტებს ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს არჩევის (საერთაშორისო მასშტაბით) შესაძლებლობას. უნივერსიტეტებს კანონმდებლობით არ აქვთ განსაზღვრული სამეცნიერო მეთოდოლოგიის საფუძველზე (გარდა ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიშისა) ანგარიშვალდებულების სისტემის შექმნა. შესაბამისად, მათ არ აქვთ დაკისრებული ანგარიშვალდებულების პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე. რიგ სფეროებში ეს ვითარება უნივერსიტეტებისთვის მაღალი ავტონომიის მინიჭების პარალელურად განსაკუთრებული საფრთხის შემცველია. კონსტიტუციის არსებული რედაქცია ზოგადია და პირდაპირ არ მიუთითებს უნივერსიტეტების ავტონომიასა და აკადემიურ თავისუფლებაზე, ხოლო კანონით გათვალისწინებული დებულებები მათი რეალიზების მაღალ გარანტიებს ქმნის. აკადემიური თავისუფლების გარანტიების შექმნის მიზნით კანონი განსაზღვრავს უნივერსიტეტის თვითმმართველობის მხოლოდ ზოგად ჩარჩოს და თვითმმართველობის ეფექტური სისტემის ჩამოყალიბების პასუხისმგებლობა უნივერსიტეტებზეა დელეგირებული. თუმცა, უნივერსიტეტების წესდებების ანალიზი გვიჩვენებს, რომ, რიგ შემთხვევებში, ეს უფლებამოსილება არ არის ეფექტურად რეგლამენტირებული. ამასთან, ავტორიტარული მართვის პირობებში საუნივერსიტეტო საზოგადოების მიერ უნივერსიტეტის მართვა ფაქტობრივადაც შეზღუდულია. აკადემიური თავისუფლების რეალიზების გარანტიები არც თენუარის ან სხვა ანალოგიური მექანიზმების საშუალებით არის შექმნილი.[16]

---

[16] უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება საქართველოში
განათლებისა და პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი

ძირითადი პრობლემები უმაღლესი განათლების სისტემის ზოგადი და უმნიშვნელოვანესი პრობლემაა სისტემის გრძელვადიანი სტრატეგიული განვითარების ხედვისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმების არარსებობა, სამართლებრივი დებულებების ურთიერთობების მყისიერი და ხშირი ცვლა, პრობლემას წარმოადგენს კვლევებისა და ღრმა და სანდო სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობილი ანალიზის ნაკლებობა. შესაბამისად, ფრაგმენტული და ნაკლებეფექტურია სისტემის განვითარების ამჟამინდელი პოლიტიკა. უნივერსიტეტების ავტონომიურობისა და აკადემიური თავისუფლების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი პრობლემაა სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით დაფუძნებული უნივერსიტეტებისათვის უფლებამოსილებების კანონით არაერთგვაროვანი რეგლამენტაცია და განსხვავებულია მათი ავტონომიის დონეც. გაცილებით ფართო შეზღუდვებია დაწესებული სსიპ-ების შემთხვევაში, ხოლო ყველაზე ნაკლები შეზღუდვების პირობებში ფუნქციონირებენ კერძო უნივერსიტეტები, რაც თავისუფალი კონკურენციის პირობებში მათი მოქმედებაში ყოფნის საკუთარი დანიშნულების შესრულების არსებით ბარიერად უნდა იქნეს განხილული. სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უნივერსიტეტების სამართლებრივი ფორმის განსაზღვრა. ესცვლილება არ უნდა იყოს კავშირში ამა თუ იმ მმართველი პოლიტიკური ძალის გემოვნების ინტერესებს. ფინანსური სახსრების საერთო სიმწირის გარდა, როგორც კვლევითი ასევე სასწავლო კომპონენტებისათვის, უმაღლესი განათლების დაფინანსების არსებული სისტემის მთავარი უარყოფითი მხარეა მისი ექსკლუზიურობა – რადგან სწავლების გადასახადს ფარავს სახელმწიფო გრანტი, სწავლების გადასახადის გაზრდას გამოიწვევს დაფინანსების მოცულობის გაზრდა. გარდა ამისა, ასეთი მექანიზმით დაფინანსება იწვევს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მხრიდან მოთხოვნად პროგრამებზე მიწოდების მოცულობის ზრდას და, პირიქით, ნაკლებად პრესტიჟული პროგრამებზე მიწოდების შემცირებას. კიდევ ერთ პრობლემას, რომელსაც დაფინანსების არსებული მექანიზმი ქმნის, წარმოადგენს კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შედარებით პრივილეგირებული მდგომარეობა: კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სახელმწიფო გრანტის მქონე

სტუდენტთა წილი სტუდენტთა მთლიან რაოდენობაში დაახლოებით იგივეა, რაც საჯარო უმაღლეს სასწავლებლებში. შესაბამისად, სტუდენტთა რაოდენობის პროპორციულად ისინი სახელმწიფოსგან დაახლოებით იმავე ოდენობის დაფინანსებას იღებენ. სახელმწიფო ბიუჯეტიდან საბაზო დაფინანსების შემცირებისა და, ფაქტობრივად, გაუქმების პირობებში სახელმწიფო სასწავლო გრანტი წარმოადგენს სახელმწიფოსგან დაფინანსების მიღების ერთადერთ საშუალებას. ამასთან, რადგან კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, საჯარო დაწესებულებებისაგან განსხვავებით, შეუძლიათ 22 ნებისმიერი მოცულობით სწავლების საფასურის დაწესება, მათი საერთო შემოსავლები მნიშვნელოვნად აღემატება საჯარო დაწესებულებების შემოსავლებს. ხარისხიანი კვლევის ნაკლებობა, რაც აისახება პუბლიკაციებისა საერთაშორისო გრანტების ძალიან მცირე რაოდენობაში, დოქტორანტურის უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს. თავის მხრივ, ეს განპირობებულია, როგორც კვლევის დაფინანსების სიმწირით, ასევე კვლევითი პოტენციალის შეფასების მექანიზმების არარსებობით: აკრედიტაციის არსებული სტანდარტი ხელს არ უწყობს სადოქტორო პროგრამის ხარისხის გაუმჯობესებასა და უზრუნველყოფას. ასევე ართულებს ხისტი კანონმდებლობაას მდგომარეობას, რომელიც რიგ შემთხვევებში სადოქტორო განათლების ინტერნაციონალიზაციისთვის სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენს. აკადემიურ და დასაქმების სფეროებს შორის რეალური კავშირის არარსებობა სერიოზული პრობლემაა, როდესაც საქმე უნივერსიტეტების კურსდამთავრებულთა დასაქმებას ეხება. დიალოგი შრომის ბაზრის წარმომადგენლებთან სპორადულ ხასიათს ატარებს და უფრო პირადი ინიციატივის შედეგია, ვიდრე გააზრებული ინსტიტუციური პოლიტიკისა. უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ფორმალურად შემუშავებული და ამოქმედებულია, მაგრამ სწორედ ეს ფორმალურობა წარმოადგენს მთავარ პრობლემას, რასაც მცირე ქვეყნისთვის დამახასიათებელი პრობლემები ემატება: ობიექტური შეფასებისათვის აუცილებელი არა მარტო ადამიანური არამედ ფინანსური რესურსების ნაკლებობა. შესაბამისად, გარდაუვალია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ინტერნაციონალიზაცია, რაც

ქართული უნივერსიტეტებისადმი ნდობის გაუმჯობესებისა და თანასწორუფლებიანი საერთაშორისო თანამშრომლობის აუცილებელი წინაპირობაა.[17]

3. საქართველოში უმაღლესი განათლების დაფინანსები პრობლემები და პერსპექტივები

3.1 ფინანასური ავტონომიის შედარებითი ანალიზი და არსებული პრობლემები; უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების პოლიტიკის განვითარება

• აუცილებელია სისტემის გრძელვადიანი სტრატეგიული განვითარების ხედვისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის/გეგმებს შემუშავება ყველა დაინტერესებული მხარის აქტიური მონაწილეობით. სტრატეგიამ უნდა განსაზღვროს საკანონმდებლო ცვლილებები.

• აუცილებელია, რომ უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების გრძელვადიანი სტრატეგია ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური განვითარების

[17] [17] უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება საქართველოში
განათლებისა და პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი

სტრატეგიის საფუძველზე შემუშავდეს და, ამავე დროს, მკაფიოდ განსაზღვროს შესაბამისი ფინანსური რესურსები.

- უნდა დაიგეგმოს მშპ-თან დაკავშირებით უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების დაფინანსების სტაბილური ზრდა.
- სოციალური სამართლიანობის პრინციპის განხორცილებისათვის უნდა გაუმჯობესდეს სოციალურად დაუცველი ფენების ფინანსური მხარდაჭერის სისტემა.
- სახელმწიფო და კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კანონმდებლობით უზრუნველყოფილი უნდა იქნეს თანაბარი კონკურენტული გარემო, მაღალი ავტონომია და აკადემიური თავისუფლება, ასევე, ეფექტური ანგარიშვალდებულების სისტემის ფუნქციონირება.
- სწავლებისა და კვლევის ერთიანობის პრინციპის განხორციელებისათვის უნივერსიტეტებში უნდა ჩამოყალიბდეს სადოქტორო განათლების შესაბამისი სტრუქტურები (სადოქტორო სკოლები). უნდა განისაზღვროს ქვეყნის სამეცნიერო პრიორიტეტები და უზრუნველყოფილი იქნეს დოქტორანტურის ინტერნაციონალიზაცია მიზნობრივი დაფინანსების გზით.
- ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში სახელმწიფოს როლი უნდა შემოიფარგლოს ავტორიზაციის პროცესით, რომელიც სახელმწიფო დაფინანსების მიღებისა და აღიარების წინაპირობა უნდა გახდეს; პროგრამების აკრედიტაციის პროცესი კი აკადემიური საზოგადოების პასუხისმგებლობის სფეროში უნდა გადავიდეს.

სწავლებისა და კვლევის ხარისხის გაუმჯობესება

- მნიშვნელოვანია, სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა განახორციელოს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების დაფინანსებასთან დაკავშირებით არსებული სხვადასხვა მონაცემების მოპოვებისა და გამოყენება საშუალება, რომელიც შესაბამისობაში იქნება ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მოთხოვნებთან.
- კვლევის მარტივად წარმოების მიზნით სასურველია შეიქმნას მეცნიერების საინფორმაციო სისტემა, სადაც წარმოდგენილი იქნება სხვადასხვა ინფორმაცია განათლების შესახებ.

- მნისვნელოვანია, მეცნიერების სამინისტრომ განისაზღვროს უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო სისტემების ყოველწლიური შეფასების დოკუმენტის მომზადება და მისი საჯაროდ გამოცემა.
- უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტატისტიკური მონაცემები ისევე, როგორც შეფასების შედეგები, უნდა აისახოს სწავლებისა და კვლევის დაფინანსებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სისტემებში.
- აუცილებელია განათლებისა და კვლევის ხარისხის უზრუნველყოფის არსებული სისტემის სრულყოფა, კერძოდ:

ავტორიზაცია-აკრედიტაციის პროცესების საჯაროობის უზრუნველყოფა, რაც გულისხმობს შესაბამისი ინფორმაციიის წარმოცენასა და ხელმისაწვდომობას როგორც ქართული, ისე უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის.

პირობითი ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ცნების შემოტანა ავტორიზაცია-აკრედიტაციის მკაფიო და გასაგები სტანდარტების, ასევე დარგობრივი მახასიათებლების შემუშავება. ავტორიზაცია-აკრედიტაციის ინტერნაციონალიზაცია - შეფასების პროცესში უცხოელი ექსპერტების ჩართვა ევროპის ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს, ან სხვა ანალოგიური საერთაშორისო წევრი ორგანიზაციების მიერ მინიჭებული აკრედიტაციის აღიარება გარკვეული პროცედურების შედეგად. ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფა უნდა შეეხებოდეს არა მხოლოდ საგანმანათლებლო პროგრამებს, არამედ სამეცნიერო კვლევებსა და აკადემიური პერსონალის ცოდნის დონის დაადგენასა და კვალიფიკაციის შეფასებას.

უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების დაფინანსების მექანიზმები ეტაპობრივად უნდა შეიცვალოს: მოკლე და საშუალოვადიან პერსპექტივაში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებმა სასწავლო გრანტების გარდა უნდა მიიღონ სპეციალური ფორმულის საფუძველზე დაანგარიშებული ბლოკგრანტები, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსების სისტემა მთლიანად ბლოკგრანტებით დაფინანსებაზე უნდა გადავიდეს. ბლოკგრანტის დასაანგარიშებლად გამოყენებული ფორმულა უნდა შედგებოდეს რესურსებისა და შედეგების ინდიკატორებისაგან, ფორმულა უნდა ითვალისწინებდეს

ისეთ კომპონენტებს, როგორებიცაა: სტუდენტებისა და მოსამსახურე პერსონალის რაოდენობა, აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია, სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხი. კვლევითი ბლოკგრანტის მოცულობა კი უნდა განისაზღვროს ისეთი პარამეტრების გათვალისწინებით, როგორებიცაა: პუბლიკაციებისა გამოქვეყნება, დაცული დისერტაციების რაოდენობა, მონაწილეობა საერთაშორისო კვლევით პროექტებში და სხვა.

უნდა გაიზარდოს სოციალური გრანტების მოცულობა, ასევე შემოღებული უნდა იქნეს სტუდენტური სესხების სისტემა , რომელიც იქნება გრძელვადიანი და დაბალპროცენტიანი. სესხების გაცემა უნდა მოხდეს სოციალური საჭიროების მიხედვით.

უნივერსიტეტმა თავად უნდა დაამტკიცოს საკუთარი წესდება, კანონის შესაბამისად, სახელმწიფო უნივერსიტეტს დააფუძნებს მხოლოდ საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფორმით, რომლის ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნება უნივერსიტეტის მაღალი ავტონომია. კანონით განსაზღვრული ავტონომიის ფარგლები ერთნაირი უნდა იყოს სსიპ-ებისა და კერძო უნივერსიტეტებისათვის, რითაც უზრუნველყოფილი იქნება უნივერსიტეტების თანაბარ კონკურენტულ გარემოში ფუქნციონირება. თუ მათი სამართლებრივი სტატუსიდან გამომდინარე სხვაგვარად არ არის აუცილებელი შესაბამისი ურთიერთობების მოწესრიგება.

საერთაშორისო სტანდარტებისა და ადგილობრივი პრაქტიკის გათვალისწინებით კანონმდებლობით დარეგულირდეს აკადემიური პერსონალის მიერ მუდმივი პოზიციის დაკავების ძირითადი საკითხები.

კანონით უნდა განისაზღვროს უნივერსიტეტის სამეცნიერო თანამდებობების ჩამონათვალი და შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები.[18]

---

[18] უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება საქართველოში
განათლებისა და პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი
გვ: 18,19,20

ნაშრომში დასმული პრობლემების უკეთ გაანალიზებისა და წარმოჩენის მიზნით, გარდა თეორიული სახის კვლევისა, ჩატარებულ იქნა სოციოლოგიური კვლევა სხვადასხვა სოციალური ვებ-გვერდების საშუალებით

კვლევა შედგებოდა 15 კითხვისაგან, რომლებიც უშუალოდ ეხება უმაღლესი განათლების დაფინანსებას და მასთან არსებულ პრობლემებს, რესპოდენტებს პასუხებისაგან შეეძლო მისთვის სასურველი პასუხის მითითება. აღნიშნული მეთოდით გამოკითხულ საზოგადოებას მიეცათ საშუალება თავისუფლად დაეფიქსირებინათ მათთვის სასურველი პასუხები

გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 476 სრულწლოვანმა რესპოდენტმა, რომელთა ვინაობა უცნობია, რადგან გამოკითხვის დროს უფრო გულწრფელად გაეცათ პასუხი კითხვებზე.

კვლევის შედეგი კი შემდეგი სახისა

დიაგრამა N 1. მოცემულია გამოკითხულ რესპოდენტთა ასაკი

გამოვლინდა რომ ყველაზე მეტი მონაწილეობა კვლევაში მიიღო 45 წლის ზემოთ ასაკის მყოფმა მოპასუხემ, ხოლო ყველაზე დაბალი 25-35;



დიაგრამა N 2 მოცემულია რესპოდენტთა განათლების დონე

გამოკითხულთა 55 პროცენტმა მიუთითა რომ მიღებული აქვს აკადემიური განათლების მეორე დონე მაგისტრი



დიაგრამა N 3. იკვლევს დასაქმებულთა და დაუსაქმებელთა რაოდენობას, გამოკითხულთა 85 % დასაქმებულია;



დიაგრამა N 4 მოცემულია გამოკითხულთა საცხოვრებელი ადგილი, აქედან 45 % ცხოვრობს ქალაქში, 30,6 % მაღალმთიან რაიონში და 24 % სხვა;



დიაგრამა N 5. ეხება გამოკითხულთა ცოდნას უმაღლესი განათლების დაფინანსების შესახებ, კვლევიდან ირკვევა, რომ უმაღლესი განათლების დაფინანსების შესახებ ინფორმაციას ნაწილობრივ ფლობს 50,7 %, საშუალოდ 31,6 % და სრულად 17,7 %



N 6. დაფინანსების მოცულობა საქართველოში: 39,1% დაბალი, 55,3% საშუალო, სხვა მაღალი.



დიაგრამა N7. რას უნდა მიენიჭოს უპირატესობა სტუდენტთა დაფინანსებისას?



დიაგრამა N8. დიაგრამაზე რესპოდენტთა 47 % ფიქრობს, რომ საქართველოშისწავლების საფასური არის მაღალი, 31 % ფიქრობს საშუალო 18% დამოკიდებულია სასწავლებელზე;



დიაგრამა N9. უპირატესობა განათლების დონის გასაუმჯობესებლად რესპოდენთა უმეტესი ნაწილი თვლის, რომ სწავლის დონის გასაუმჯობესებლად ყველაზე მნიშვნელოვანია კადემიური პერსონალის ხარისხი;



დიაგრამა N 10. გაიზრდება თუ არა სწავლის ხარისხი დაფინანსების გაზრდისას?

50,6 შესაბამისად გაიზრდება, 38,7 % სავარაუდოდ, 10,7 არ გაიზრდება;



დიაგრამა N11. უცხო ქვეყნის გამოცდილების მნიშვნელობა საქართველოსათვის: 44,9 % თვლის, რომ მნიშვნელოვანია ნაწილობრივ, 48,7 % ძალიან მნიშვნელოვანია, 6,4 % არ არის მნიშვნელოვანი;



დიაგრამა N 12. განათლების დაფინანსების ცვლილება: არ შეიცვალა 15,9%, მნიშვნელოვნად შეიცვალა 22,2 %, ნაწილობრივ შეიცვალა 61,9%;



დიაგრამა N13. დაფინანსების სასურველი მოდელი საქართველოში: 52,8 % თვლის, რომ საქართველოში სასურველია დაფინანსება გრანტის სახით, 32,5 % პირდაპირი დაფფინანსების მოდელი, ხოლო 14,7 % ვაუჩერული;



დიაგრამა N 14. დაფინანსების დონეების განსაზღვრისას გამოიკვეთა შემდეგი მდგობარეობა: 58,3 % თვლის, რომ დაფინანსება ყველასათვის უნდა იყოს ერთ დონეზე ხოლო 35 % კი თვლის , რომ არუნდა იყოს.



დიაგრამა N15. მოცემულ მოსაზრებას ეთანხმება 16,6%, არ ეთანხმება 48,2% და ნაწილობრივ ეთანხმება 35,2 %.



დასკვნა

ნაშრომის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოში უმაღლესი განათლების დაფინანსებაში გამოიკვეთა, როგორც დადებითი ასევე უარყოფითი მხარეები და პრობლემური საკითხები. ბოლო 10 წლის მანძილზე ცხადად ჩანს ის ცვლილებები, რომლებიც განხორციელდა უმაღლესი განათლების დაფინანსების სფეროში, მაგრამ არის საკითხები, რომლებიც საჭიროებს ცვლილებებს და ახალი ინოვაციური მეთოდების ჩართვასა და გამოყენებას.

საკითხის შესწავლისას პრობლემა ყველაზე მეტად აღმოაჩნდათ იმ ოჯახებს, რომლებიც არიან სოციალურად დაუცველი და არ აქვთ საშუალება გადაიხადონ სწავლის საფასური რის გამოც უწევთ სწავლის პროცესის შეჩერება ან შეწყვეტა. ნაშრომზე მუშაობისას, შესწავლილი იქნა ბოლო წლების დაფინანსების ცვლილებები უმაღლეს სასწავლებლებში, ინდიკატორები, რომლებსაც იყენებს სახელმწიფო განათლების დაფინანსებისას, არსებული და უკვე აღმოფხვრილი პრობლემები, უცხო ქვეყნების გამოცდილება და საქართველოს პრაქტიკა მასთან მიმართებით.

უცხო ქვეყნების პრაქტიკის გამოყენება განათლების დაფინანსების კუთხით უმაღლეს სასწავლებლებში ხელს შეუწყობს ქვეყანაში დაფინანსების სასურველი

მოდელის ჩამოყალიბებას და დადებითად წარმართავს დაფინანსების სისტემის განვითარებას.

უმაღლესი განათლების მთავარი ფუნქცია განათლების გავრცელებაა, განათლების დონის აწევა საზოგადოებაში, საზოგადოებისათვის და ქვეყნის ეკონომიკისათვის, უმღლეს განათლებას წვლილი შეაქვს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. განათლება ადამიანის ფუნდამენტური საშუალების მომცემი უფლებაა: ამ უფლების რეალიზებისათვის ჩვენმა ქვეყანამ უნდა უზრუნველყოს თანაბარი ხელმისაწვდომი განათლება საზოგადოების ყველა ფენისათვის, მიუხედავად სოციალური სტატუსისა. საყოველთაო თანაბარი ხელმისაწვდომობა, რომელიც იქნება უფასო და არავის დატოვებს ყურადღების მიღმა. განათლების მიზანს უნდა წარმოადგენდეს პიროვნების სრული განვითარება და ხელს უწყობდეს ურთიეთგაგებას, ტოლერანტობას, მეგობრობასა და მშვიდობას.

ნაშრომზე მუშაობისას გამოიკვეთა განათლების და განსაკუთრებით უმაღლესი განათლების როლი სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებაში, რადგან ეს ერთ-ერთი საშუალებაა ქვეყნის გაძლიერებისა და ქვეყანაში არსებული პრობლემების გადაჭრისა.

ჩვენი ქვეყანა ამჟამად ვიმყოფებით დაფინანსების მესამე მოდელთან ახლოს, რომელიც გულისხმობს სწავლების მაღალ გადასახადსა და დაფინანსების სუსტ სისტემას, თუმცა უნდა აღინიშნოს რომ ცვლილებები აშკარაა ბოლო წლების მანძილზე უკეთესობისაკენ და მიღებული გვაქვს დადებითი შედეგები დაფინანსების კუთხით, ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარეობს სამუშაო პროცესები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით რაც კიდევ უფრო დადებით შედეგს მოგვცემს ამ კუთხით, საქართველოსათვის სასურველი მოდელი შესაძლოა მიუახლოვდეს მეორე მოდელს რაც გულისხმობს სწავლების მაღალ გადასახადს და სტუდენთდა დახმარების ძლიერ სისტემას. ამიტომ ჩვენი მიზანია დაფინანსების ძლიერი სისტემის შექმნა და მისი გაუმჯობესება მომავალში.

ამრიგად საქართველომ უნდა შეძლოს უმაღლესი განათლების დაფინანსების კუთხით სასურველი მოდელის ჩამოყალიბება. დღესდღეობით არა მხოლოდ საქართველოსათვის, არამედ ყველა სახელმწიფოსათვის ერთ-ერთი ძალიან

მნიშვნელოვანი თემა განათლების მიღებაა, ამიტომ მნიშვნელოვანია აღნიშნული საკითხის შესწავლა, არსებული პრობლემების წარმოჩენა და იმ დადებითი შედეგების განხილვა, რომლების მიაღწია ჩვენმა ქვეყანამ ბოლო წლების განმავლობაში.

ბიბლიოგრაფია

1.სტატია: უმაღლესი განათლების როლი და ფუნქცია ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის, ნინო ჯოჯუა ეროვნული თავდაცვის აკადემია, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი

2. უმაღლესი განათლებისა და კვლევის დაფინანსება და და ფინანსური მართვა, ექსპერტი-ლელა ჩახაია;

3. კვლევის ანგარიში: ,,უმაღლესი განათლების გავლენა სამუშაო ძალის ფორმირებაზე" მკვლევარი ნათია ანდღულაძე, თამარ ბრეგვაძე, რევაზ აფხაზავა.

4.პროექტი: განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021

5. ,,უნივერსიტეტების ავტონომია და აკადემიური თავისუფლება", ექსპერტი თამაზ ზაალიშვილი

6. ,,უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება საქართველოში"

7. უმაღლესი განატლების პოლიტიკის ანალიზი ხუთი სტრატეგიული მიმართულების მიხედვით, ,,უმაღლესი განათლება და დასაქმება" ექსპერტი თამარ ბრეგვაძე

8. კონსოლიდირებული ვერსია საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ;

9.განათლება 2030 ინჩიონის დეკლარაცია და სამოქმედო ჩარჩო, ინკლუზიური და თანასწორი ხარისხიანი განათლებისა და სიცოცხლის მანძილზე სწავლებისაკენ;

10. განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი. 2008.

11. უმაღლესი განათლების რეფორმის შედეგები: აღწერითი ანგარიში ბოლონიის პროცესის ინდიკატორების მიხედვით

12. განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი. 2012.

13. განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი. 2013. უმაღლესი განათლება და სამუშაო ძალა საქართველოში;

14. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი.

15. „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი.

16. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონი.

17. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრი; www.eqe.ge

18. 2012 წელს დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები. www.rustaveli.org.ge

19. განათლება და დასაქმება https://www.tsu.ge/data/file_db/xarisxis_martvis_dep/ganatlebis-politika-5.pdf

20.http://library.fes.de/pdf-files/bueros/georgien/13978.pdf http://erasmusplus.org.ge/files/publications/Strategic%20Development%20of%20HE%20and%20Science%20in%20Georgia%20-%20ge.pdf

21. უმაღლესი განათლების სტრატეგიული განვითარება
https://docs.google.com/file/d/0B3sJgE_BiBdCMmZndlZRZUkwZ2M/edit?usp=sharing

22. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური;

http://geostat.ge/?action=page&p_id=2104&lang=geo

23. მოქალაქეთა გზამკვლევი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

https://www.mof.ge/images/File/Citizens-Guide-2019-MOF-kanoni.pdf

24. უმაღლესი განათლებისა და კვლევის დაფინანსების პრობლემა

https://1tv.ge/analytics/umaghlesi-ganatlebisa-da-kvlevis-dafinansebis-problema/

25. კვლევა და განვითარება საქართველოში, ტატო ხუნდაზე

http://old.1tv.ge/projects/analytics/?page=detail&id=166261